2011 წელი, 6 – 12 ოქტომბერი
ფასი 1 ლარი

# ახალი განათლება

№29 (543) გამოდის 1998 წლიდან
www.axaliganatleba.ge

„რაოდენობრივად წელს გაცილებით მეტმა ადამიანმა გადალახა პროფესიული უნარების ტესტის ბარიერი, ვიდრე შარშან. იმედი მაქვს, ასეთი დინამიკა მომავალშიც შენარჩუნდება.“

გვერდი 2



2011 წელი UNESCO-ს მიერ ვაჟას წლადაა გამოცხადებული და მისი ეგიდით ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილე მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება

გვერდი 4

განათლება სამურზაყანოში – წარსული და დღევანდელობა

გვერდი 6

აქ დავიბადე, მაგრამ ოჩამჩირელი ვარ!..

გვერდი 10

## ყურადღება!

„ახალი განათლების“ რედაქცია, სკოლების მოთხოვნის საფუძველზე,
სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის შესავსებად და საგნობრივი კაბინეტების
თვალსაჩინოებებით აღჭურვისთვის,

**სპეციალურ ფასად გთავაზობთ:**

თემატურ პლაკატებს დაწყებითი და მაღალი კლასებისათვის,
ქართველი მწერლების პორტრეტებს, ცნობილი მხატვრების ნამუშევრების რეპროდუქციებს,
ასევე, მხატვრულ ლიტერატურასა და ენციკლოპედიებს,
**ოქტომბრიდან კი, დამატებით – ქართველ მწერალთა ტომეულებს.**

ჩამონათვალი იხილეთ – გვ. 3, გვ.12

## ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ჩატარებულმა სასერტიფიკაციო გამოცდებმა აჩვენა, რომ ფიზიკის მასწავლებლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ ამოცანების ამოხსნა. მათ მიერ მიღებული დაბალი შეფასებები ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.

წინამდებარე რუბრიკაში შევეცდებით დავეხმაროთ მათ და მივაწოდოთ ტიპური საგამოცდო ამოცანების ამოხსნა მეთოდური მითითებებით. ამოცანები დალაგებულია სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისი თემატური გეგმის მიხედვით.

გვერდი 5

## ცვლილება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ტესტში – ვექტორი გამარტივებისაკენ

### გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი გოგი მაჭავარიანი

„ეროვნული გამოცდები საუკეთესოთა შერჩევაა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.“

გვერდი 7

პედაგოგთა სერტიფიცირება

# დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს მეტი პედაგოგი გადალახავს ბარიერს

## გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ია კუტალაძე

მოგეხსენებათ, რომ სასერტიფიკაციო გამოცდები ორი ნაწილისაგან შედგება: საგნობრივი გამოცდა, რომელიც ამოწმებს კონკრეტული საგნის და ამ საგნის სწავლების სპეციფიკური მეთოდიკის ცოდნას და ზოგადი პროფესიული უნარების გამოცდა, რომელსაც აბარებს ყველა პედაგოგი, განურჩევლად იმისა, რა საგანს ასწავლის ის. პროფესიული უნარების ტესტი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბავშვის განვითარებისა და სწავლის თეორიები, მასწავლებლის პროფესიული ვალდებულებები და ღირებულებები, ეფექტური სწავლისა და სწავლების მეთოდები, რომელთა ცოდნაც აუცილებელია ნებისმიერი საგნის მასწავლებლისთვის.

რა შეიძლება ითქვას პროფესიული უნარების ტესტზე? ტესტი სირთულის თვალსაზრისით 2010 წლის სასერტიფიკაციო ტესტის ანალოგიური იყო. არ შეცვლილა არც პროფესიული უნარების ტესტის ფორმატი. 2010 წლის გამოცდის შედეგების ანალიზის საფუძველზე ტესტში უმნიშვნელო ცვლილებები შევიდა უკვე არსებული ფორმატის ფარგლებში: კერძოდ, უმნიშვნელოდ გავზარდეთ არჩევითპასუხიანი დავალებების რაოდენობა და შევამცირეთ ღია დავალებების წილი. გარკვეული კორექტივები შევიტანეთ ღია ტიპის დავალებებში, კერძოდ, ე.წ. სიმულაციურ დავალებაში *„საქაღალდე“*. ამ დავალებაში აპლიკანტს ვთხოვდით პირობაში მოცემული პრობლემის იდენტიფიცირებასა და ანალიზს, შემდეგ კი პრობლემის გადაჭრის გზის აღწერას. ანალიზის კომპონენტი პედაგოგებს გაუჭირდათ, მის ნაცვლად პასუხებში ხშირად გვხვდებოდა პირობის პერიფრაზი. წელს ოდნავ შევცვალეთ მოთხოვნები. 2011 წლის სასერტიფიკაციო ტესტში (სიმულაციური დავალება „ფორუმი“) პრობლემა უკვე იდენტიფიცირებული და სათაურად გამოტანილი იყო დავალებაში და პედაგოგისაგან მოითხოვდა მხოლოდ აღწერილი პრობლემის გადაჭრის გზის ჩამოყალიბებასა და დასაბუთებას, ანუ პედაგოგს უნდა აღეწერა თუნდაც ერთი კონკრეტული აქტივობა, რომლითაც მოაგვარებდა დავალებაში აღწერილ პრობლემას და დაესაბუთებინა თავისი პასუხი. ვფიქრობ, გარკვეული თვალსაზრისით, ამან გააიოლა დავალებაზე მუშაობა.

პროფესიული უნარების გამოცდაზე 2011 წელს რეგისტრირებული იყო, დაახლოებით, 20 000-მდე პედაგოგი. პედაგოგთა საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც შარშან ბარიერი ვერ გადალახა, მაგრამ გამოცდილება შეიძინა და წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდა. ზოგადად, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის გამოცდილების შეძენა. თუმცა, არის პედაგოგთა მცირე რაოდენობა, ვინც ვერც შარშან გადალახა ბარიერი და ვერც წელს. ასეთი პედაგოგებისთვის და იმათთვის, ვინც 2012 წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას სასერტიფიკაციო გამოცდებში, აუცილებლად მოვამზადებთ შედეგების დეტალურ ანალიზს. გამოცდების ეროვნული ცენტრის ტრადიციულ გამოცემაში – „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის“ განხილული იქნება 2011 წლის ტესტები, ყველა ტიპური შეცდომა, რომელიც დაუშვეს პედაგოგებმა, აუცილებლად თანდართული რეკომენდაციებით, რას უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება პედგოგებმა და ა.შ. ამავე ბუკლეტში, ტრადიციულად, იქნება ამონარიდები პედაგოგთა რეალური საგამოცდო ნაშრომებიდან (რა თქმა უნდა, სახელისა და გვარის მითითების გარეშე), პასუხებისა და შეფასების კრიტერიუმების განხილვა და სხვ.

ეს გამოცემა და რეკომენდაციები დაეხმარება პედაგოგებს, უკეთ მოემზადონ მომავალი წლის გამოცდისათვის.

თუ პედაგოგთა ნაშრომების გაანალიზებას ახლავე შევეცდებით, შემიძლია ვთქვა, რომ ნომერ პირველ პრობლემად რჩება ის, რომ პედაგოგები არ პასუხობენ დავალების ყველა მითითებას. თითოეულ დავალებას რამდენიმე მითითება აქვს, რომელსაც აპლიკანტები მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ. წელს გამოიკვეთა კიდევ ერთი პრობლემა – პედაგოგები ზოგჯერ არ პასუხობდნენ იმ კითხვას, რომელიც დავალებაშია დასმული. ნებისმიერი ღია ტიპის დავალება სწორდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხი დავალებაში დასმული კითხვის რელევანტურია. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც პასუხი აცდენილი იყო პირობას. წერია სახელმძღვანელოდან კარგად ნასწავლი გარკვეული ფრაზები, მაგრამ როცა პასუხი პირობას/კითხვას არ პასუხობს, ფასდება ნული ქულით. ნაშრომის შეფასების პირველი კრიტერიუმი პასუხის რელევანტურობაა.

გარდა ამისა, კვლავ პრობლემად რჩება არგუმენტირების ნაწილი. როდესაც ვთხოვთ პედაგოგს მსჯელობას, კონკრეტული აქტივობის აღწერას, იმავდროულად, ვთხოვთ დასაბუთებასაც – რატომ შეუწყობს ხელს მის მიერ აღწერილი აქტივობა კონკრეტული პრობლემის მოგვარებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გვინდა შევაფასოთ, რამდენად გააზრებულია ის ცოდნა, რასაც პედაგოგი ამჟღავნებს. ხშირად პასუხებში ხდება უბრალოდ რეპროდუცირება იმისა, რაც ნასწავლი აქვთ პედაგოგებს, მაგალითად, ახსოვთ რომელიმე თეორია ან ავტორი, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში ამ ცოდნის გამოყენება უჭირთ. სწორედ ამიტომაც ღია დავალებაში ვითხოვთ არგუმენტირებას. დასაბუთების კომპონენტის უგულებელყოფა იყო ძირითადი ხარვეზი პედაგოგების ნაშრომებში, რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ. ამასთან დაკავშირებითაც ჩვენს სახელმძღვანელოში აუცილებლად შევიტანთ რეკომენდაციებს, მოვამზადებთ ნიმუშებს, როგორ გამოიყენონ არგუმენტაციის ნაწილი იმისთვის, რომ პასუხი იყოს სრული და შეფასებაც მაღალი.

ჩემი სუბიექტური შეფასებით, პედაგოგები უკეთ იყვნენ მომზადებულები, ვიდრე პირველ წელს, რაც ალბათ ბუნებრივიცაა. თავისთავად, იმ პედაგოგებმა, რომლებმაც პირველებმა მიიღეს მონაწილეობა სასერტიფიკაციო გამოცდებში, 2010 წელს, დიდი გამბედაობა გამოიჩინეს, რადგან ეს სრულიად ახალი ფორმატის გამოცდა იყო. 2010 წელს იყო ისეთი პასუხებიც, რომლებიც, მსუბუქად რომ ვთქვათ, კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. წელს ასეთი ნაწერების რაოდენობა მცირე იყო. თუმცა მოგეხსენებათ, ბარიერი ძალიან მაღალია – გამოცდა წარმატებით რომ ჩააბაროს პედაგოგმა, მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი უნდა დააგროვოს. ბევრმა პედაგოგმა ეს მაღალი ბარიერი მაინც ვერ დაძლია. ვფიქრობ, ამაში ტრაგიკული არაფერია. სერტიფიცირების პროცესი გრძელდება, 2014 წლის ჩათვლით გამოცდაზე გასვლა ნებაყოფლობითია. დარწმუნებული ვარ, მომავალ წელს კიდევ უფრო გაიზრდება იმ აპლიკანტთა რიცხვი, ვინც გადალახავს ბარიერს. **რაოდენობრივად წელს გაცილებით მეტმა ადამიანმა გადალახა პროფესიული უნარების ტესტის ბარიერი, ვიდრე შარშან. იმედი მაქვს, ასეთი დინამიკა მომავალშიც შენარჩუნდება.**

ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ პედაგოგებს, უკეთ მოემზადონ. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა შარშან პედაგოგებისთვის გამოსცა დამხმარე ლიტერატურა „ეფექტიანი სწავლება“, რომელშიც ძალიან მარტივი ენითაა მოცემული სწავლისა და სწავლების პროცესის ყველაზე თანამედროვე მეთოდები. როგორც უკვე აღვნიშნე, ყოველ წელს გამოვცემთ კრებულს „როგორ მოვემზადოთ სასერტიფიკაციო გამოცდისთვის“. სავარაუდოდ, ნოემბერში ეს კრებული დაიბეჭდება და მივა პედაგოგებამდე. გარდა ამისა, ძველ გამოცემებს აუცილებლად ავტვირთავთ ჩვენს ვებგვერდზე – www.naec.ge. პირველ გამოცემას ახლავს დანართი, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს პედაგოგებს. დანართში მოკლედაა მიმოხილული განვითარების თეორიები, რომელთა ცოდნაც მათ სტანდარტით მოეთხოვებათ. კიდევ ბევრ მნიშვნელოვან აქტივობას ვგეგმავთ – რაიონებში გასვლას და პედაგოგებთან შეხვედრებს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომავალ წელს უფრო მეტმა პედაგოგმა გადალახოს ბარიერი.

რაც შეეხება საგნობრივ გამოცდებს, იცით, რომ წელს სიახლე იყო – მომზადდა ყველა საგნობრივი გამოცდა და, ფაქტობრივად, სისტემა უკვე სრულყოფილად ამოქმედდა. მთავარი და მნიშვნელოვანია, რომ ის ხარვეზები, რაც წელს იყო დაშვებული პედაგოგთა ნაშრომებში, კარგად იყოს გაანალიზებული და პედაგოგებამდე მიტანილი, რაც აუცილებლად გამოიღებს სათანადო შედეგს. სერტიფიცირების პროცესის შემოღება ხარისხის რეგულირების კარგი მექანიზმია, ის ხელს უწყობს მოქმედი და დამწყები პედაგოგების პროფესიულ განვითარებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, განსაზღვრავს ჩვენი მოსწავლეების წარმატებას, რომელიც პედაგოგთა ოსტატობაზე, კვალიფიკაციასა და პროფესიულ უნარებზეა დამოკიდებული. მინდა მათ წარმატება ვუსურვო მომავალ სასერტიფიკაციო გამოცდებსა და პროფესიულ საქმიანობაში.

*ესაუბრა*
***ლალი თვალაბეიშვილი***


# საქართველოს მშვიდობის კორპუსი

## იწვევს მოტივირებულ საჯარო სკოლებს მშვიდობის კორპუსის განათლების პროგრამასთან თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, უკვე თერთმეტი წელია, საქართველოს რეგიონებში წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს. კონკურსში შერჩეულ სკოლებს შესაძლებლობა ექნებათ: იმუშაონ ამერიკელ ინგლისური ენის მასწავლებელთან **2012-2014 სასწავლო წლების** განმავლობაში, ერთობლივი მუშაობის შედეგად აამაღლონ ინგლისური ენის სწავლების დონე, დანერგონ ახალი სასწავლო მეთოდოლოგია. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ სკოლებს, რომლებშიც ინგლისური ისწავლება უცხო ენად კვირაში **მინიმუმ 18 საათი**.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში:

***მცხეთა-მთიანეთი***
***კახეთი***
***ქვემო ქართლი***
***სამცხე-ჯავახეთი***
***გურია***
***აჭარა***
***იმერეთი*** (საჩხერის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ქალაქი საჩხერე)
***სამეგრელო*** (აბაშის და მარტვილის მუნიციპალიტეტები)
**ამბროლაურის მუნიციპალიტეტი**
**ცაგერის მუნიციპალიტეტი**

თუ თქვენი სკოლა ზემოთ აღნიშნულ რეგიონშია და დაინტერესებულია მოხალისესთან თანამშრომლობით 2012-2014 აკადემიურ წლებში:

1. გაეცანით საინფორმაციო ბროშურას (გამოიყენეთ გზამკვლევის სახით და დაიტოვეთ სკოლაში)
2. სრულად შეავსეთ მოხალისის მოთხოვნის ფორმა (ინგლისურ ენაზე)
3. შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმა მოგვაწოდეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე ვაჟა-ფშაველას გამზირი №29ა, თბილისი, 0160 ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

შესავსები მოხალისის მოთხოვნის ფორმის და საინფორმაციო დანართის მიღება შესაძლებელია საქართველოს მშვიდობის კორპუსის ოფისში ან განათლების რაიონულ რესურსცენტრებში.

სკოლის მიერ შევსებული მოხალისის მოთხოვნის ფორმის მიღების საბოლოო ვადაა **17 ოქტომბერი, 2011 წელი.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით განათლების პროგრამის ხელმძღვანელს:

**ასმათ სიხარულიძე**
ტელ: (8 32) 224 12 24
ფაქსი: (8 32) 239 91 06
ელფოსტა:
asikharulidze@peacecorps.gov

**თეო ნეფარიძე**
ტელ: (8 32) 224 12 24
ფაქსი: (8 32) 239 91 06
ელფოსტა:
tneparidze@peacecorps.gov


იმ აბიტურიენტებისა და სტუდენტების საყურადღებოდ, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩაირიცხნენ ან სწავლობდნენ იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებმაც ვერ გაიარეს ავტორიზაცია, გაცნობებთ, რომ არც ერთი სტუდენტის უფლება არ იქნება დარღვეული, მეტიც, ყველა სტუდენტი გადანაწილდება ავტორიზებულ უმაღლეს სასწავლებლებში და შესაძლებლობა ექნება იმავე საფასურით მიიღოს უფრო მაღალი ხარისხის განათლება. სტუდენტების მობილობა გაგრძელდება მანამდე, სანამ თითოეული სტუდენტი არ ჩაირიცხება მისთვის სასურველ უმაღლეს სასწავლებელში.

ავტორიზაცია გარე შეფასების მექანიზმია, რომელიც ადგენს დაწესებულების თვითშეფასების შედეგების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან. ავტორიზაცია სავალდებულოა ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემისათვის. ავტორიზაციის სტანდარტებია:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- ადამიანური რესურსი;
- მატერიალური რესურსი.

საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ მისიას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შეესაბამება თუ არა ესა თუ ის სასწავლო დაწესებულება განათლების სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმებს, ამას გარეშე ექსპერტები ადგენენ.

# სიახლე!

## „ახალი განათლების“ რედაქცია სასწავლო დაწესებულებებს სთავაზობს თემატურ პლაკატებს, რეპროდუქციებსა და ქართველ მწერალთა პორტრეტებს

### თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ქართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ფასი 2.5 ლარი

### თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ქვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მზის სისტემა
11. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
12. საქართველოს სამეფო დინასტია
13. ძველი რომი
14. მსოფლიოს დროშები
15. ზღვის დინებები
16. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
17. სამყაროს წარმოშობა
18. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
19. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი 3 ლარი

### ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის

**მწერალთა პორტრეტები** (34X47 სმ)

1. ექვთიმე თაყაიშვილი
2. მიხეილ ჯავახიშვილი
3. გიორგი ლეონიძე
4. ტერენტი გრანელი
5. ნიკო ლორთქიფანიძე
6. გრიგოლ რობაქიძე
7. ირაკლი აბაშიძე
8. ლადო ასათიანი
9. ნოდარ დუმბაძე
10. მირზა გელოვანი
11. აკაკი ბაქრაძე
12. ვასილ ბარნოვი
13. პაოლო იაშვილი
14. ტიციან ტაბიძე
15. სულხან-საბა ორბელიანი
16. ნიკოლოზ ბარათაშვილი
17. იოსებ გრიშაშვილი
18. პოლიკარპე კაკაბაძე
19. გურამ რჩეულიშვილი
20. იაკობ ხუცესი
21. იოანე საბანისძე
22. კონსტანტინე გამსახურდია
23. დავით გურამიშვილი
24. ბესიკი
25. მურმან ლებანიძე
26. რევაზ ინანიშვილი
27. ალექსანდრე ყაზბეგი
28. ალექსანდრე ჭავჭავაძე
29. იაკობ გოგებაშვილი
30. დავით კლდიაშვილი
31. აკაკი წერეთელი
32. რუსთაველი
33. ვაჟა-ფშაველა
34. თეიმურაზ I
35. ვახტანგ VI
36. გიორგი მერჩულე
37. ილია ჭავჭავაძე
38. გრიგოლ ორბელიანი

ფასი 4 ლარი

### ხელოვნების კაბინეტისთვის

**რეპროდუქციები**

1. ცისფერი ბალერინები - დეგა 1897
2. იმპრესიონისტების სურათები 10 დასახელება
3. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი 1784
4. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
5. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
6. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი 1634
7. მენინები - ველასკესი 1650
8. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო 1509
9. მხატვრის ბაღი -კლოდ მონე 1880
10. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი 1669
11. საქანელა - რენუარი 1876
12. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა 1884

ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

## ვაჟა-ფშაველა — 150

# 2011 წელი UNESCO-ს მიერ ვაჟას წლადაა გამოცხადებული და მისი ეგიდით ვაჟა-ფშაველას 150 წლის იუბილე მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით აღინიშნება





28-30 სექტემბერს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ორგანიზებითა და რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით, თბილისში ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი ჩატარდა. 3 დღის განმავლობაში, ქართველი და უცხოელი მეცნიერები სხვადასხვა სექციურ სხდომებზე წარმოადგენდნენ მეტად საინტერესო მოხსენებებს ლიტერატურათმცოდნეობის თანამედრო პრობლემების შესახებ. სიმპოზიუმი, შერატონ-მეტეხი პალასის საპრეზენტაციო დარბაზში, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **ირმა რატიანმა** გახსნა. შემდეგ მოეწყო ვაჟა-ფშაველას ხუთწუთიანი ინგლისურენოვანი წარდგინება. პლენარულ სხდომაზე კი პროფესორების – **გასტონ ბუაჩიძის** (საფრანგეთი, ნანტი), **ჯენიფერ უოლესის** (დიდი ბრიტანეთი, კემბრიჯი) მოხსენებები მოისმინეს, მოეწყო აგრეთვე **ამირან არაბულის** წიგნის „ვაჟკაცობისას ამბობენ" პრეზენტაცია.

სიმპოზიუმის მეორე და მესამე დღე ძალზე დატვირთული იყო სექციური მუშაობით. ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს შეთავაზებული თემატიკის ირგვლივ, რომლის შესახებ გვიამბობს პროფესორი ირმა რატიანი. *„ვაჟა არ არის მწერალი, რომელიც შეიძლება ჩაიკეტოს ქართული მწერლობის, ქართული კულტურის ფარგლებში. ბევრი ვიფიქრეთ რა ასპექტი მოგვეძებნა ისეთი, რომელიც ვაჟას შემოქმედების საერთაშორისო ინტერნაციონალურ ხასიათს გამოხატავდა. ასეთად მივიჩნიეთ მითოლოგიზმი და ფოლკლორული ტრადიციები. თუმცა, თავისუფლად შეგვეძლო აქცენტის გაკეთება ნაციონალური იდენტობის თემაზე ან ფილოსოფიური აზროვნების ჩართვაზე ლიტერატურაში, მაგრამ ჩვენ მაინც მითოლოგიზმსა და ფოლკლორზე შევჩერდით, სიმპოზიუმის თემატიკაც ეს იყო – „მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება". ვაჟა ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალია, რომლის შემოქმედებაშიც გაჩნდა მითოლოგიური აზროვნება და ფოლკლორული ტრადიციები და ძალიან დიდი წარმატებითაც. ეს ფაქტი კი იმის მანიშნებელია, რომ მისი შემოქმედება ერთგვარი წინაპირობაა XX საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესებისათვის. მოგეხსენებათ, მოდერნიზმის ეპოქაში მითოლოგიზმი და ფოლკლორი ძალიან აქტუალური ხდება. ვაჟა-ფშაველა, ამ თვალსაზრისითაც, უსწრებს თავის ეპოქას.*

*წლევანდელ სიმპოზიუმში 19 ქვეყნის 60-მდე მეცნიერი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ უცხოელი ქართველოლოგი მეცნიერები, რომელთათვის ვაჟა კარგად ნაცნობი ავტორია და მოხსენებებიც მისი შემოქმედების შესახებ გააკეთეს და ისეთები, რომელთაც წარმოადგინეს ამ პროცესების ანალიზი საკუთარი ნაციონალური ლიტერატურების მაგალითზე. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას – კულტურული დიალოგი შედგა. უცხოელი მეცნიერებისთვის (აშშ, ინგლისი, გერმანია, ირანი, სომხეთი, რუსეთი, ბალტიის ქვეყნები, ყაზახეთი...), ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებისა და თარჯიმნების წყალობით, რომლებიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მუშაობდნენ, აბსოლუტურად მოხსნილი იყო ენის ბარიერი. სექციური მუშაობისთვის წინასწარ მზადდებოდა 3-4-გვერდიანი ინგლისურენოვანი ვრცელი რეზიუმეები და ურიგდებოდათ მონაწილეებს.*

*ვფიქრობ, წლევანდელმა სიმპოზიუმმა ძალიან კარგი შედეგი უნდა მოგვცეს. შედეგი კი წაკითხული მოხსენებების კრებულის სახით გამოცემა იქნება – ჩვენ ყოველთვის ვაკეთებთ სტამბურ და ელექტრონულ გამოცემებს. მომავალ წელს ველოდებით იმ სიმპოზიუმის მასალების ინგლისურენოვანი კრებულის გამოსვლას, რომელიც ჩატარდა თემაზე „ტოტალიტარიზმი და ლიტერატურა" და რომელიც კემბრიჯის გამომცემლობაში იბეჭდება. მსგავსი შემოთავაზება ახლაც გვაქვს და იმედია, რომ ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მასალებიც დაიბეჭდება და მასში, ისე როგორც წინა შემთხვევაში, უხვად იქნებიან წარმოდგენილნი ქართველი მეცნიერები".*

ვაჟა-ფშაველას იუბილესათვის, ფართომასშტაბიანი სიმპოზიუმის მომზადებისა და ჩატარების გარდა, ლიტერატურის ინსტიტუტმა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, მოამზადა და ოქტომბერში გამოვა ვაჟას ახალი სამტომეული, ხოლო წლის ბოლოსთვის იგეგმება „შვლის ნუკრის ნაამბობის" სამენოვანი გამოცემა.

* * *

1 ოქტომბერს ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის საზეიმო დახურვა ჩარგალში გაიმართა. ვაჟას სახლ-მუზეუმი ვერ იტევდა დამთვალიერებელს – 70-ზე მეტი ადამიანი, მათ შორის 40 უცხოელი, ორი საათის განმავლობაში ეცნობოდა ვაჟას ყოფისა და შემოქმედების დეტალებს. განსაკუთრებით განცვიფრებულები უცხოელები ჩანდნენ, ნუთუ აქ, ამ პატარა, იდუმალ სივრცეში იქმნებოდა ამდენი შედევრი, „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი", – კითხულობდნენ ისინი. პოეტმა ეთერ თათარაიძემ საკუთარი ლექსები წაიკითხა.

სახლ-მუზეუმიდან 2 კმ. ფეხით იარეს სიმპოზიუმის მონაწილეებმა, რათა პატივი მიეგოთ რაზიკაშვილების საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალული ვაჟას ოჯახის წევრებისათვის. გულქანის ცხედარს ამის ნახევარი ხალხიც არ მიაცილებდა უკანასკნელ გზაზეო, – სინანულით აღნიშნა ეთერ თათარაიძემ.







***ანა ფირცხალაიშვილი***

## ინფორმაცია

* * *




ახალი სასწავლო წლიდან მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები ახალ სავალდებულო საგანს „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" შეისწავლიან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი და შინაგან საქმეთა აკადემიის რექტორი ხატია დეკანოიძე თბილისის 24-ე საჯარო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს შეხვდნენ და მათ ახალი საგნის სახელმძღვანელოები პირადად გადასცეს.

ახალი საგნის „საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" შემოღება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი გადაწყვეტილებაა. იგი მიზნად ისახავს გზებზე უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფას. სწორედ ამას შეუწყობს ხელს სკოლის ასაკში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

საგნის სწავლება სპეციალურად დაწერილი სახელმძღვანელოებით განხორციელდება. მასწავლებელთა და მოსწავლეთა სახელმძღვანელოები, რომლებიც შინაგან საქმეთა აკადემიაში მომზადდა, ყველა იმ ძირეულ საკითხს მოიცავენ, რომლებიც აუცილებელია, რათა მოსწავლეები სრულყოფილად მომზადდნენ საგზაო მოძრაობის წესებსა და უსაფრთხოებაში. შინაგან საქმეთა აკადემიაში ახალი საგნის ყველა პედაგოგი გადამზადდა.

ავტომობილის მართვის თეორიულ კურსს მოსწავლეები სკოლაშივე გაივლიან. გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, 17 წლის ასაკში, მშობლის თანხმობის შემთხვევაში, მოსწავლეები მართვის დროებით მოწმობებს უსასყიდლოდ მიიღებენ და საშუალება ექნებათ ქალაქში ავტომობილით იმოძრაონ, აეკრძალებათ მხოლოდ მგზავრების გადაყვანა. 18 წლის ასაკში კი, დროებითი მოწმობის ნაცვლად, ახალგაზრდა საერთაშორისო სტანდარტის მართვის მოწმობას ასევე უსასყიდლოდ აიღებს.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში შეკრებილ სტუდენტებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბაკალავრო პროგრამებზე 4200 აბიტურიენტი ჩაირიცხა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე – 46, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე კი – 304 აბიტურიენტი. დღეისათვის თსუ-ში 22 000-მდე სტუდენტი სწავლობს.



CMYK

მეთოდიკა

# ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

**ჩატარებულმა სასერტიფიკაციო გამოცდებმა აჩვენა, რომ ფიზიკის მასწავლებლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ ამოცანების ამოხსნა. მათ მიერ მიღებული დაბალი შეფასებები ძირითადად ამ მიზეზით იყო განპირობებული.**

**წინამდებარე რუბრიკაში შევეცდებით დავეხმაროთ მათ და მივაწოდოთ ტიპური საგამოცდო ამოცანების ამოხსნა მეთოდური მითითებებით. ამოცანები დალაგებულია სერტიფიცირების პროგრამის შესაბამისი თემატური გეგმის მიხედვით, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:**

*თემატური გეგმა:*

1. კინემატიკის საფუძვლები;
2. ურთიერთქმედება მექანიკაში (დინამიკა, სხეულების წონასწორობა, იმპულსისა და მექანიკური ენერგიის მუდმივობის კანონები);
3. მყარი სხეულის თვისებები;
4. მექანიკური რხევები და ტალღები;
5. ჰიდრო და აეროსტატიკა;
6. იდეალური აირი;
7. სითბური მოვლენები;
8. ელექტროსტატიკა;
9. ელექტრული დენი, ომის კანონი (წრედის უბნისა და სრული წრედისთვის), დენის მუშაობა და სიმძლავრე;
10. მაგნიტური ველი;
11. ოპტიკა.

ახლა გთავაზობთ ამოცანებს კინემატიკის საფუძვლებიდან (ამოცანებში, სადაც არ არის სპეციალური მითითება, ჰაერის წინაალმდეგობის ძალები არ არის გათვალისწინებული):

**ამოცანა 1**

X – ღერძისადმი $30^o$-იანი კუთხით და Y – ღერძისადმი $60^o$-იანი კუთხით დახრილი წრფე მოძრაობს X – ღერძის მიმართულებით 1მ/წმ სიჩქარით (იხ. სურ. 1). რა სიჩქარით მოძრაობს ამ წრფის Y – ღერძთან გადაკვეთის წერტილი?




ამოხსნა:

ამ ამოცანის ამოხსნა მარტივდება, თუ გამოვიყენებთ იმ ფაქტს, რომ წრფის ყველა წერტილი ერთი და იმავე მიმართულებით ერთი და იმავე სიჩქარით მოძრაობს. როგორც სურ. 2-დან ჩანს, რა დროშიც წრფე გადის s მანძილს, იმავე დროში წერტილი A გაივლის $s_1$ მანძილს.

Δ AOB –დან

$s_1 = s\,tg\,\alpha$. მაგრამ $s_1 = v_1 t$ და $s = vt$,

ამიტომ $v_1 = v\,tg\,\alpha = \frac{\sqrt{3}}{3}$ მ/წმ.




**ამოცანა 2**

იმ მომენტში, როდესაც ტივმა ჩაუარა მდინარის ნაპირზე მდებარე ნავსადგურს, მისგან დინების მიმართულებით გავიდა კატერი. ამ მიმართულებით ერთი საათის მოძრაობის შემდეგ კატერმა გაიარა 20 კმ, შემდეგ შემობრუნდა, განაგრძო მოძრაობა მდინარის მიმართ სიჩქარის შეუცვლელად, დინების საწინააღმდეგო მიმართულებით და შეხვდა ტივს ნავსადგურიდან 5 კმ მანძილზე. რას უდრის მდინარის დინებისა და მდინარის მიმართ კატერის სიჩქარე?

**ამოხსნა:**

ამ ამოცანის ამოხსნა გაცილებით მარტივდება, თუ ათვლის სისტემად ავირჩევთ ტივს, ანუ მდინარის წყალს. ამ ათვლის სისტემაში კატერის სიჩქარე მდინარის დინების და მის საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობისას ერთი და იგივეა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კატერის ტივისგან დაშორებისა და მასთან მიახლოების დრო ერთმანეთის ტოლია. ე.ი. კატერმა ტივთან დაშორებას და მასთან მიახლოვებას სულ 2 სთ. მოანდომა. ამოცანის პირობაში მოცემულია, რომ ამ დროში ტივმა 5 კმ გაიარა, ამიტომ მდინარის დინების (ტივის) სიჩქარე ტოლია:

$$v = \frac{5}{2} = 2{,}5 \text{ კმ/სთ}$$

ამოცანის პირობის თანახმად კატერმა ნაპირის (დედამიწის) მიმართ 1 სთ-ში 20 კმ გაიარა. ე.ი. მისი სიჩქარე დედამიწის მიმართ ($v_1$) ტოლია:

$$v_1 = \frac{20}{1} = 20 \text{ კმ/სთ.}$$

ამიტომ კატერის სიჩქარე მდინარის მიმართ ტოლი იქნება

$$v_2 = 20 - 2{,}5 = 17{,}5 \text{ კმ/სთ}$$

**ამოცანა 3**

აეროსტატი ადის ვერტიკალურად ზევით 3 მ/წმ² აჩქარებით. მოძრაობის დაწყებიდან 10 წმ-ის შემდეგ აეროსტატიდან გადმოაგდეს ბალასტი. რა დროში აღმოჩნდება იგი დედამიწის ზედაპირზე?

**ამოხსნა:**

საწყის (გადმოგდების) მომენტში ბალასტი აეროსტატის მიმართ მოძრაობს ნულოვანი სიჩქარით, დედამიწის მიმართ კი მისი სიჩქარე აეროსტატის სიჩქარის ტოლია

$v = at = 3 \cdot 10 = 30$ მ/წმ-ს

და მიმართულია ვერტიკალურად ზევით. თუ ბალასტის მოძრაობას განვიხილავთ ვერტიკალურად ზევით მიმართულ ათვლის სისტემაში, რომლის სათავე დედამიწის ზედაპირთანაა დაკავშირებული, მაშინ ბალასტის მოძრაობის განტოლებას შემდეგი სახე ექნება:

$$h = h_0 + vt - \frac{gt^2}{2}$$

სადაც $h$ ბალასტის საბოლოო სიმაღლეა და უდრის 0-ს, $h_1$ საწყისი სიმაღლეა და შეესაბამება ვარდნის სიმაღლეს. მეორე მხრივ, ეს არის სიმაღლე, რომელსაც მიაღწევს აეროსტატი მოძაობის დაწყებიდან 10 წმ-ში:

$$h_0 = \frac{at^2}{2} = 3 \cdot \frac{100}{2} = 150 \text{მ.}$$

მოცემული და მიღებული სიდიდეების მოძრაობის განტოლებაში ჩასმით მივიღებთ კვადრატულ განტოლებას დროის მიმართ:

$0 = 150 + 30t - 5t^2$, $t = 3 \pm \sqrt{9+30} \approx 9{,}2$ წმ.

**ამოცანა 4**

გასროლილი ქვის საწყისი სიჩქარე 20 მ/წმ-ია. გასროლის მომენტიდან 1 წმ–ის შემდეგ ქვის სიჩქარე 14 მ/წმ გახდა. გასროლის წერტილიდან რა მაქსიმალურ სიმაღლეზე აღმოჩნდება ქვა?

**ამოხსნა:**

პირველ რიგში, უნდა დავადგინოთ რა მიმართულებით იქნა ქვა გასროლილი. ცხადია, რომ გასროლის სიჩქარე არ არის არც ჰორიზონტალურად და არც ვერტიკალურად ქვევით მიმართული, რადგან ასეთ შემთხვევებში დროის მიხედვით ქვის სიჩქარე გაიზრდებოდა. ვერტიკალურად ზევით მოძრაობისას ქვის სიჩქარე ტოლი იქნებოდა

$v = v_0 - gt = 10$მ/წმ,

რაც ამოცანის პირობაში მოცემულ სიდიდეზე (14 მ/წმ) ნაკლებია. ე. ი. ქვა გაისროლეს ჰორიზონტისადმი კუთხით. ასროლის სიმაღლის გამოსათვლელად გამოვიყენოთ ფორმულა:

$$h = \frac{v_{oy^2}}{2g},$$

სადაც $v_{oy}$ ქვის საწყისი სიჩქარის ვერტიკალური მდგენელია ათვლის სისტემაში, რომლის სათავე გასროლის წერტილთანაა დაკავშირებული და მიმართულია ვერტიკალურად ზევით. ვიცით რომ

$v_0^2 = v_x^2 + v_{oy}^2$, $v^2 = v_x^2 + v_y^2$ და $v_y^2 = (v_{oy} - gt)^2$.

ამ განტოლებებიდან:

$$v_o^2 - v^2 = v_{oy}^2 - v_y^2 = v_{oy}^2 - v_y^2 = v_{oy}^2 - (v_{oy} - gt)^2,$$

ანუ

$$v_0^2 - v^2 = 2v_{oy}gt + g^2t^2$$

აქედან

$$v_{oy} = \frac{v_o^2 - v^2 - g^2t^2}{2gt} = 5{,}2 \text{ მ/წმ.}$$

ამ სიჩქარის სიმაღლის ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$$h = \frac{27{,}04}{20} \approx 1{,}4 \text{ მ.}$$

*თეიმურაზ გაჩეჩილაძე*
აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის
№42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი
და დირექტორის მოადგილე

ინფორმაცია

* * *



სასწავლო დაწესებულების მანდატურებმა 203-ე საჯარო სკოლის სმენადაქვეითებული მოსწავლეები მოინახულეს. მოზარდებს მანდატურებმა და კომპანიამ „მითანა“ ახალი სასწავლო წელი მიულოცეს და სხვადასხვა სახის საჩუქრები გადასცეს.

სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციებში სისტემატური მონაწილეობა მანდატურებსა და ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, კეთილგანწყობას და ნდობის გაზრდას უწყობს ხელს, რაც, საბოლოოდ, დანაშაულის პრევენციას უზრუნველყოფს. მანდატურების საქველმოქმედო აქციები მომავალშიც გაგრძელდება.

სკოლის მანდატურების თქმით, ასეთ აქციებში მონაწილეობა ძალიან ნიშვნელოვანია, რადგან მათი სურვილია, თავადაც შეიტანონ გარკვეული წვლილი ბავშვების სწორად აღზრდაში.

მანდატურების ფუნქცია დანაშაულის პრევენცია და ბავშვისთვის ყველა სახის დახმარების გაწევაა. მათ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება ეკრძალებათ და ვალდებულნი არიან მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე იზრუნონ.

უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ახალი ინიციატივის მიზანია, სწავლის პერიოდში მშობლებს შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია ჰქონდეთ.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, სახელმწიფო პროგრამების „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ და „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ მონაწილე ქართველ და უცხოელ პედაგოგებთან ერთად, კახეთს ეწვივნენ და რთველში მიიღეს მონაწილეობა.

კაჭრეთის პროფესიული კოლეჯის „აისი“ ბაზაზე არსებულ ვენახში დაკრეფილი ყურძენი პედაგოგებმა პრეზიდენტთან და მინისტრთან ერთად სპეციალურად მათთვის მომზადებულ საწნახელში დაწურეს.

რთველში პრეზიდენტი პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე პედაგოგების ახალი ჯგუფის წევრებსაც გაესაუბრა. ეს ახალგაზრდები სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობების სკოლებში ქართულ ენას ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად ასწავლიან, ასევე ეხმარებიან სხვა საგნების პედაგოგებს გაკვეთილების ბილინგვური მეთოდით წარმართვის პროცესშიც. პედაგოგები ადგილობრივ ოჯახებში ცხოვრობენ და სახელმწიფო ენას მათაც ასწავლიან. პროგრამა სექტემბრიდან ამოქმედდა და უკვე საკმაოდ პოპულარულია.

ღია ცის ქვეშ მოწყობილმა ტრადიციულმა ქართულმა სანახაობამ უცხოელი სტუმრები მოხიბლა. მასწავლებლებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან ყურძნის დაწურვასთან ერთად თათარის მოდულებასა და ჩურჩხელების ამოვლებაშიც მიიღეს მონაწილეობა. როგორც უცხოელმა პედაგოგებმა პრეზიდენტს განუცხადეს, საქართველოში მათი მოღვაწეობა ორმხრივ სასარგებლოა, ისინი მდიდარი ტრადიციების მქონე ქვეყნის მოზარდებს ინგლისური ენის ცოდნის გაღრმავებაში ეხმარებიან და თავადაც ეცნობიან აქამდე მათთვის ნაკლებად ცნობილი ქვეყნის მდიდარ ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.

საგანმანათლებლო კერა

# განათლება სამურზაყანოში – წარსული და დღევანდელობა

*ვახტანგ გასვიანი*
*აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში*



სამურზაყანო – გალის რაიონი ისტორიულად სამეგრელოს ნაწილია. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ახლანდელი სოფელი სამურზაყანოსი – ბედია და მისი გარემო საეგროში (სამეგრელოში) შედიოდა“ (თ. სახოკია „მოგზაურობანი“, თბილისი, 1950 წ. გვ.307).

სამურზაყანოს, საქართველოს ამ ისტორიულ კუთხეს განგებამ საკრალური მისია არგუნა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, როცა თარგამოსმა თავისი წილხვედრი კავკასია თავის ძეებს დაურიგა *„ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით მცირე მთა, რომელსაც ჰქვიან ლიხი, დასავლეთით ზღვა (შავი ზღვა); ჩრდილოეთით მდინარე მცირისა ხაზარეთისა (მდ. ყუბანი); სად წარსუთების წუერი კავკასიისა, ხოლო ამან ეგროსმა აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თავისი ეგრისი. აწ ამ ადგილს ჰქვიან ბედია.“* ანანია ჯაფარიძის მოკვლევით, ეგროსი დასაფლავებულია ბედიაში (გასავ (აკაკი) გასვიანი – ქართული ანბანი – სამყაროლოგია“, თბილისი, 2001 წ. გვ. 20).

ალბათ, ამან განაპირობა, რომ ამ დალოცვილ ადგილს მეორე დიდი მისია დაეკისრა. ქვეყნის გაერთიანების დიდი მისია მომდინარეობდა ბედიიდან, სადაც ბაგრატ III-ემ ერთ-ერთი თავისი პოლიტიკური რეზიდენცია შექმნა. ბედიაში მან და დედამისმა გურანდუხტმა, 999 წელს, დაასრულეს დიდი ტაძრის მშენებლობა. ამიერიდან, სოფელი ბედია დიდი სასულიერო ცენტრი გახდა. ბედიის ტაძარი, როგორც რელიგიური და კულტურული, ასევე პოლიტიკური თვალსაზრითაც, საქართველოს ერთიანობის სიმბოლოა. ამიტომაც დედა-შვილმა განსასვენებლად ეს კურთხეული ადგილი აირჩია.

2014 წელს, ერთიანი საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის გარდაცვალებიდან 1000 წელი სრულდება.

განგებამ გალის რაიონს კიდევ ერთი ისტორიული მისია მიაკუთვნა.

სამურზაყანოში განათლებისა და კულტურის განვითარებისაკენ ლტოლვა და მისწრაფება ძველთაგანვე იყო. ბედიელ მღვდელმთავრებს კარგი წიგნთსაცავებიც შეუქმნიათ და თვითონაც მიუღიათ მონაწილეობა ხელნაწერთა დამზადებაში. ბედიის მონასტრის უნიკალურ ძეგლს – ოქროს ბარძიმს ამშვენებს ქართული წარწერა. ბევრ ძეგლზე ქართული წარწერები შემორჩენილია დღემდე.

სწორედ აქ, 1851 წელს, სოფელ ოქუმში გაიხსნა პირველი სკოლა აფხაზეთში. მას წელს დაარსებიდან 160 წელი უსრულდება.

აი, როგორ შეფასებას აძლევს ამ ფაქტს პროფესორი ოთარ ჭურღულია: *„ოქუმის სკოლა რიგი წლების მანძილზე ერთად-ერთი სკოლა იყო მთელს აფხაზეთში, ვერც ერთი მკვლევარი, ვინც შეეხება სახალხო განათლების ისტორიას აფხაზეთში, გვერდს ვერ აუვლის ოქუმის სკოლას და ეს ბუნებრივიცაა“* (ნ. ვეკუა – სახალხო განათლების დაწყებითი სასწავლებლები რევოლუციამდე აფხაზეთში, სოხუმი, 1958 წ. გვ. 4).

ეს მოვლენაც არ არის შემთხვევითი. მადლით გაჯერებულ მიწას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, აქვს მახსოვრობა, ადამიანს აძლევს სულიერ ძალას და უნარს, შექმნას ახალი, იყოს პირველი გზის გამკვლევი. ამ მიწაზე სიკეთით სავსე ადამიანები ცხოვრობდნენ, ამჟამადაც დიდი განსაცდელის ქვეშ ცხოვრობენ, ინარჩუნებენ მშობლიურ მიწას, მშობლიურ ენას.

ამ დალოცვილი მიწის შვილია მსოფლიო დონის მეცნიერი ილია ვეკუა. მთვარიდან გრუნტის ჩამოტანისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე აკადემიკოს კელდიშს უთქვამს: ამ გრუნტის ნახევარი, რომელსაც თქვენ ხედავთ, ეკუთვნის აკადემიკოს ილია ვეკუას. ეს მეცნიერის დამსახურების აღიარებაა.

1850 წელს, საქართველოს ეგზარქოსმა სამურზაყანოში, სოფელ ოქუმში, მღვდლად გამოგზავნა დავით მაჭავარიანი. ის იმ დროისათვის განათლებული კაცი ყოფილა. დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია, წლების განმავლობაში იყო სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი. მოკლე დროში, მან ნდობა და პატივისცემა მოიპოვა მოსახლეობაში და 1851 წელს გახსნა სკოლა სოფელ ოქუმში. მისი ძალისხმევით და პედაგოგიური გამოცდილებით, ეს სკოლა ერთ-ერთი საუკეთესო სასწავლებელი გახდა, სადაც ბავშვი სწავლობდა წერა-კითხვას რუსულად და ქართულად, ასევე გალობას.

აი, რას წერს სკოლის შესახებ ყოფილი მოსწავლე კ. მაჭავარიანი: *„სკოლაში დიდი სურვილით დავდიოდით პატარებიც და დიდებიც, ყველა ფერის და სხვადასხვა ასაკის, ყველა ერთნაირი წყურვილით ვეკიდებოდით მიგვეღო ცოდნა. მეცადინეობა გრძელდებოდა 8-დან 12 საათამდე, ბევრი ზამთარში 5-7კმ. მანძილზე დავდიოდით. მიუხედავად ამისა გაკვეთილებს სინდისიერად ვამზადებდით. ზოგჯერ მუხლებზე გვიხდებოდა წერა, ვხმარობდით ბატის ფრთას, ქაღალდის ნაგლეჯს, მელანის ნაცვლად წყალში გახსნილ ჭვარტლს“* (ა. პ. დუდკო – აფხაზეთის რევოლუციამდელი სკოლის ისტორიიდან, სოხუმი, 1956 წ. გვ. 19-20).

ამავე პერიოდში, სოფლებში: ბედიაში, დიხაზურგაში, საბერიოსა და გუდავაში მღვდლები ბავშვებს სახლებში ყოველგვარი პროგრამის გარეშე, არასისტემატურად, ასწავლიდნენ.

1856 წელს მისიონერმა დავით მაჭავარიანმა მეორე სკოლა გახსნა სოფელ დიხაზურგაში (ნ. ვეკუა, იქვე. გვ. 10).

1865 წლისათვის ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ სამურზაყანოში ხუთი სკოლა ააშენა: დიხაზურგაში, ბედიაში, გუდავაში და საბერაოში, ოქუმის სკოლა უფრო ადრე იყო აშენებული.

1865 წლის მონაცემებით, ოქუმის ორკლასიან სკოლაში სწავლობდა 73 მოსწავლე, საბერიოს (1,2) – 73, დიხაზურგის – 48, ჭუბურხინჯის – 30, ბედიის – 24, ნაბაკევის – 21, ბარღების – 21, გუდავის – 17, ჩხორთოლის – 14, თაგილონის – 10, მუხურის – 9. სულ 12 სკოლაში სწავლობდა 340 მოსწავლე, მათ შორის 48 – გოგონა.

ამ პერიოდისათვის აფხაზეთის დანარჩენ რაიონებში მხოლოდ 5 სკოლა ფუნქციონირებდა, რომლებშიც 22 მოსწავლე სწავლობდა, მათ შორის ილორის სკოლაში 12 მოსწავლე იყო, დანარჩენ სკოლებში კი 2-3 მოსწავლე.

1887-88 წლების რუსეთ-თურქეთის ომმა დიდი ზიანი მიაყენა გუდაუთის, კოდორის და გუმისთის უბნების სასწავლებლებს, სამურზაყანოს სკოლები თითქმის არ დაზარალდნენ. თუმცა, 1882 წელს სწავლება მიმდინარეობდა მხოლოდ ოქუმისა და ბედიის სკოლებში, დანარჩენ სკოლებში, უსახსროობის გამო, მეცადინეობა დროებით შეწყდა.

1888-1889 წლებში სამურზაყანოში სკოლების რაიოდენობა 15-მდე გაიზარდა, სადაც 370 მოსწავლე სწავლობდა, აფხაზეთის დანარჩენ რაიონებში მთლიანად 15 სკოლა ფუნქციონირებდა, მათში მოსწავლეთა რაოდენობა 391 ბავშვს შეადგენდა.

სწავლისადმი სწრაფვა სამურზაყანოში იმდენად დიდი იყო, რომ ცალკეულ სოფლებში, როგორიცაა ოტობაია, გუდავა, საბერიო სამ-სამი სკოლა არსებობდა. ამ წლებში აფხაზეთის, ასევე სამურზაყანოს სკოლები განიცდიდნენ პედაგოგების ნაკლებობას. ამ მიზნით, 1896 წელს ორკლასიანი სასწავლებლები გაიხსნა გალსა და გუდაუთაში.

1851 წლიდან 1917 წლამდე ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ და აფხაზეთის ეპარქიის სასწავლებელთა საბჭომ აფხაზეთში 105 სკოლა გახსნეს, აქედან 1917 წელს მუშაობდა 77 სკოლა. სამურზაყანოში გაიხსნა 38 სკოლა, ფუნცქიონირებას აგრძელებდა 32 სკოლა. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლების დიდმა ნაწილმა ბევრჯერ განიცადა რეორგანიზაცია, ზოგიერთი ორ-სამჯერ დაიხურა, შემდეგ კვლავ იხსნებოდა (მონაცემები ამოკრებილია ა.პ. დუდკოს წიგნიდან, გვ. 314-328).

სახალხო განათლების სამინისტროს სკოლების რაოდენობამ აფხაზეთში 79-ს მიაღწია. ამ უწყების სკოლები ფუნქციონირებდნენ აგრეთვე გალის რაიონშიც. ბევრმა სკოლამ – გუდავის, ნაბაკევის, ოტობაიას, ბედიის – რეორგანიზაცია განიცადეს, ორკლასიანი ქალთა სასწავლებელი გაიხსნა დაბა გალში, აქვე სკოლა გახსნა წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამაც.

წინამდებარე წერილში მოყვანილი ციფრებიდან ნათლად ჩანს, რომ სამურზაყანოში სკოლებისა და მათში ბავშვთა რაოდენობა უფრო დიდია, თუ მას აფხაზეთის რაიონებში არსებულ სკოლების რაოდენობას ერთად აღებულს შევადარებთ. ამას სკოლების ინსპექტორი ბაქრაძე სამურზაყანოში განათლებისადმი დიდი ინტერესით, სკოლებისადმი კეთილგანწყობით და მეზობელი რაიონების გავლენით ხსნიდა. *„სამურზაყანოელები,* – წერდა ის თავის ანგარიშში, – *რომლებსაც ნაყოფიერი ტერიტორია უკავიათ, ასევე ხელსაყრელი მდებარეობა შავი ზღვის სანაპიროზე, ვერ დარჩებოდნენ განათლებული მეზობელი ხალხის გავლენის გარეშე. ასეთი მეზობლები იყვნენ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, რომლებიც მას ესაზღვრებიან. აღსაზრდელებს შორის სამურზაყანოში ბევრი უნარიანი ბავშვია. ისინი დაჯილდოებული არიან მახვილი, თავდაჯერებული გონებით, აზროვნება ძალიან სწრაფი აქვთ. აქ ძალიან დიდია განათლებისკენ ქალების სწრაფვა“* (ა.პ. დუდკო, გვ. 90, 94).

დიდ მზრუნველობას ბავშვების სწავლისადმი იჩენდნენ მათი მშობლები. იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი 1864 წელს წერდა: *„სამურზაყანოელებს ძალიან სურთ და ითხოვენ, რომ ოქუმში გაიხსნას ქალთა სკოლა, ამისათვის თვითონ მზად არიან გაიღონ, რისი შესაძლებლობაც აქვთ. მშობლები თანახმა არიან შეაგროვონ ფული თუ მთავრობა დათახმდა გახსნას სკოლა ოთხი კლასით ოქუმში“* (ა.პ. დუდკო, გვ. 93).

სკოლებთან ბავშვთა თავშესაფრის მოწყობის მიზნით, მშობლებმა ბევრ სოფელში შეაგროვეს ფული: ოქუმში – 650 მანეთი, ბედიაში – 500, დიხაზურგაში – 350, გუდავაში – 350 და ა.შ.

ამავე პერიოდში, სამურზაყანოში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიც გაუხსნიათ. XIX საუკუნის ბოლოს, სამურზაყანოში მოგზაურობისას, თ. სახოკიას მოუნახულებია ოქუმის წიგნთსაცავი, რომელიც მღვდელ ივანე გეგიას აუშენებია. ის დიდი კმაყოფილებით წერს, რომ წიგნთსაცავს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ეხმარებიან. აქ არის წარმოდგენილი ალექსანდრე ყაზბეგის, აკაკის, ილიას, რაფიელ ერისთავის წიგნები, რუსულ განყოფილებაში კი – ლერმონტოვის, დოსტოევსკის და სხვების წიგნთსაცავების მნიშვნელობაზე ის წერს: *„მთელი ყურადღება წიგნთსაცავებს უნდა მივაქციოთ. იმიტომ რომ სკოლები ცოტაა ამ მხარეში და სადაც კი არის შიგ ქართულის ხსენება არ არის. მარტო წიგნები თუ არ დაგვავიწყებს ჩვენს ენას, ჩვენს თავს, ჩვენს წარსულს. ამიტომ ყველა ჩვენგანის მოვალეობაა, ხელი მოუმართოთ ამ ახალ ფეხმოკიდებულ საქმეს... მით უფრო გვმართებს ყველას ხელის გამოღება, რომ სამურზაყანო განაპირა ადგილია საქართველოსი, მოშორებულია ცენტრს, მოკლებულია ნასწავლებს და გულშემატკივრებს“* (თ. სახოკია, გვ. 261-263). სკოლებში მოსწავლეთა ცოდნის დონე, – წერს შემდეგ თ. სახოკია, ძალიან დაბალი იყო. ამის მიზეზი გახდა სუსტი მატერიალური ბაზა, სწავლების შინაარსი და, რაც მთავარია, მშობლიურ – ქართულ ენაზე სწავლების აკრძალვა.

1867 წელს გამოიცა განკარგულება ყველა სკოლაში რუსულ ენაზე სწავლების შესახებ. 1870 წელს შემოღებულ იქნა „წესები სხვა ეროვნების განათლების ღონისძიებების შესახებ“. ხელისუფლება, ადგილობრივი მოსახლეობის გარუსების მიზნით, ხსნიდა მხოლოდ რუსულ სკოლებს. ამ მიზნით შეადგინეს აფხაზური, მეგრული და სვანური ანბანი რუსული შრიფტით.

ამ დოკუმენტის თანახმად, მშობლიურ ენას მინიჭებული ჰქონდა მხოლოდ დამხმარე როლი, რომ მიღწეული ყოფილიყო ძირითადი მიზანი – ბავშვებს ესწავლათ რუსული ენა. სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენა ოფიციალურად იდევნებოდა, მისი ადგილი უნდა დაეჭირა მეგრულ ენას. სკოლებში გაგზავნილ ოფიციალურ ცირკულარში ეწერა: *„რუსული ენის სწავლება უნდა იწყებოდეს მეგრული ენის სწავლებით. ის მასწავლებლები, რომლებიც არ შეასრულებდნენ ამ მოთხოვნას, სკოლებიდან იდევნებოდნენ. ახუთის სკოლის მასწავლებელს დ. ბერულავას, რომელიც თავისი ინიციატივით ასწავლიდა ქართულ ენას, გამოუცხადეს საყვედური, თუ გააგრძელებდა ქართული ენის სწავლებას გაანთავისუფლებდნენ სამსახურიდან“* (ნ. ვეკუა, გვ. 59-60).

ამავე პერიოდში, მეგრულ ენაზე ითარგმნა ლოცვები, რაც სამღვდელოებამ და მოსახლეობამ მიუღებლად გამოაცხადეს.

ქუთაისის გუბერნატორმა ყველა უწყებას გაუგზავნა იმ კუთხეების ჩამონათვალი, რომლებიც გუბერნიაში იყვნენ გაერთიანებული. შემდგომ მაცხოვრებლებს ამას ეროვნებად უწერდნენ. 1884 წელს ამ ნიშნით აფხაზეთში მოსწავლეთა ნაციონალური შემადგენლობა ასე გამოიყურებოდა: რუსები – 20, ქართველები – 4, მეგრელები – 214, სამურზაყანოელები – 353, აფხაზები – 111, ბერძნები – 117, მოლდაველები – 1, ესტონელები – 28 (ა.პ. დუდკო, იქვე, გვ. 144).

რუსი მოხელეები მეგრულ მოსახლეობას ქართველებად არ თვლიდნენ, სამურზაყანოში მცხოვრებლებს კი ახალი ნაციონალური სახელი მიანიჭეს. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა მოსახლეობა გაეთიშათ, დაექსაქსათ, მათ შორის უნდობლობა დაეთესათ.

1874 წლიდან, სკოლების წესების შესაბამისად, იწყება ეროვნული უმცირესობების გარუსების ხანგრძლივი პერიოდი. ამ დროიდან ქართულ ენაზე სწავლება არა თუ მოსპეს, არამედ მოსწავლეებს სასტიკად აუკრძალეს მშობლიურ ენაზე საუბარიც კი. შემოიღეს ე.წ. „მარკა“, რომლითაც დაისჯებოდა ქართულად მოსაუბრე მოსწავლე.

ქართული ენის სწავლების ოფიციალური პროგრამა არ არსებობდა. მას მასწავლებელი თვითონ ადგენდა. ქართულ ენაში შეფასება სკოლიდან გამოშვებისას მხედველობაში არ მიიღებოდა, სწავლების დაფინანსება საბიუჯეტო სახსრებით არ ხდებოდა, მას მშობლების შემოტანებით ფარავდნენ. ასეთმა დამოკიდებულებამ სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო ქართული ენის სწავლება. ძნელად თუ მოიძებნებოდნენ მასწავლებლები, რომლებიც ქართულად შეძლებდნენ სწავლებას. 1917 წლიდან შემოიღეს ქართულ ენაზე სწავლება. შექმნილი მდგომარეობის გამო, აღმოჩნდა რომ გალისა და ზუგდიდის მაზრაში მომუშავე მასწავლებლებს ქართულ ენაზე სწავლება, ენის უცოდინარობის გამო, არ შეეძლოთ (ს. სიგუა, „სახალხო განათლება რევოლუციამდელ აფხაზეთში“, 1969 წ. გვ. 11), რაც გამოწვეული იყო ქართული ენის იგნორირებით ყველა ტიპის სასწავლებელში.

გალში არსებობდა ორკლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც ამზადებდა მასწავლებლებს. ამ სკოლაში ქართული ენა არ ისწავლებოდა. ამრიგად, ყველაზე დაბალი ტიპის სახალხო სკოლის მასწავლებელს, რომელსაც სკოლაში მოუხდებოდა მუშაობა, ქართულ ენას არ ასწავლიდნენ.

ცარიზმის რუსიფიკატორულ პოლიტიკას დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ როგორც მოსახლეობის ფართო მასები, ასევე მასწავლებლები. სამურზაყანოს სკოლის პედაგოგებს თავიანთ ანგარიშებში მოჰყავდათ მშობელთა მოთხოვნები რუსულ ენასთან ქართული ენის სწავლების შემოღების აუცილებლობის შესახებ. სამეგრელოს მოსახლეობის ისტორიული დამსახურების აღსანიშნავად უნდა ითქვას, რომ სამეგრელო საქართველოს ერთიანობის, ქართული კულტურის ერთ-ერთი ბურჯთაგანი, დიდ წინააღმდეგობას უწევდა ქართული ენის ერთიანი სახელმწიფოებრივი და საეკლესიო სივრციდან ამოგდების რუსიფიკატორულ მიზანმიმართულ ზრახვებს, საქართველოს კუთხეებად დაქუცმაცება-დაპირისპირების იმპერიულ გეგმას.

ქართულ ენაზე სასწავლო დისციპლინების სწავლება, ყველა სკოლის სახალხო ეროვნულ სკოლად გამოცხადება გახდა მასწავლებელთა ყრილობის მსჯელობის საგანი, რომელიც 1905 წლის დეკემბერში ჩატარდა სოხუმში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, თედო სახოკიას, აფხაზეთში მოღვაწე პედაგოგების: პ. ჭარაიას, ნ. ჯანაშიას და სხვების ბრძოლას ეროვნული კულტურის, სკოლისა და ქართული ენის დასაცავად. ფასდაუდებელია აგრეთვე ქართველი სამღვდელოების როლი განათლების გავრცელებაში როგორც სამურზაყანოში, ასევე მთლიანად აფხაზეთში.

დასასრული შემდეგ ნომერში

# ცვლილება ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდის ტესტში – ვექტორი გამარტივებისაკენ



## გვესაუბრება გამოცდების ეროვნული ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის ხელმძღვანელი გოგი მაჭავარიანი

**რამდენად საფუძვლიანია მღელვარება, რომელმაც საზოგადოება მოიცვა, თითქოსდა, სკოლებში ქართული ლიტერატურის შევიწროვების გამო. რა ცვლილება განიცადა ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო გამოცდის ტესტმა?**

მოგეხსენებათ, ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფი ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის ორი ტიპის ტესტს ამზადებს – სავალდებულო საგამოცდო ტესტს და არჩევითი ლიტერატურის ტესტს. რაც შეეხება ლიტერატურის არჩევითი გამოცდის ტესტს, არავითარი ცვლილება არ იგეგმება, როგორიც იყო შარშან, იმგვარივე დარჩება, ანუ იქნება განსხვავებული ტიპის ორი წერითი დავალება, რომლებიც 50 ქულას მოიცავს. 25 ქულით შეფასდება ერთი წერითი დავალება, მეორეც – 25 ქულით. 30 ქულით შეფასდება ლიტერატურის ცოდნა – გარკვეული ეპიზოდების ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების, ანუ იმგვარი შეკითხვები, ლიტერატურული ტექსტის ცოდნას რომ მოითხოვს. მთლიანობაში ეს იქნება 80-ქულიანი ტესტი, როგორც იყო შარშან და შარშანწინ.

> **ყველა დავალება, რომელიც შევა ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო გამოცდის ტესტში, იქნება იმგვარივე, როგორიც იყო შარშან და შარშანწინ.**

შეიცვალა ქართული ენისა და ლიტერატურის ტესტი სავალდებულო გამოცდისათვის. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ისიც, როგორც არჩევითი გამოცდის ტესტი, იქნება 80-ქულიანი (წინა წლებში 100-ქულიანი იყო), სამუშაო დრო კი აბიტურიენტებს ისევ 4 საათი მიეცემათ. ამ თვალსაზრისით, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისითაც, საქმე უფრო გამარტივებისაკენ წავიდა, ვიდრე გართულებისაკენ.

ყველა დავალება, რომელიც შევა ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო გამოცდის ტესტში, იქნება იმგვარივე, როგორიც იყო შარშან და შარშანწინ. დავალება იქნება ოთხი. შარშანაც იყო ე.წ. რედაქტირების დავალება – ტექსტი, რომელშიც ყველა ტიპის ენობრივი შეცდომაა დაშვებული, სტილისტური ხარვეზების ჩათვლით და აბიტურიენტს ევალება, გაასწოროს და ისე გადაწეროს პასუხების ფურცელში. ეს დავალება ისევ იქნება, ოღონდ შეფასდება 20 ქულით (იყო 15-ქულიანი). შესაბამისად, შეცდომების რაოდენობა გაიზრდება – თითო შეცდომის პოვნასა და გასწორებაში თითო ქულა იწერება. შეცდომები რაოდენობრივად მოიმატებს, სირთულის მიხედვით შეიძლება უფრო იოლიც იყოს.

მეორე დავალება, რომელიც შევა ჩვენს ტესტში, ფუნქციური წერაა. ეს ტესტიც იყო შარშან და მომავალ წელსაც იქნება. ახლა ჩვენ უფრო მარჯვე სახელი მოვუფიქრეთ – არგუმენტირებული ესე, ეს არის რაღაც საკითხი, გარკვეული თემა, რომლის შესახებაც აბიტურიენტმა უნდა იმსჯელოს და გამოამჟღავნოს თავისი დამოკიდებულება (დავუშვათ, ნარკომანიის პრობლემასთან დაკავშირებით) ისეთ საკითხებზე, რომლებიც ახალგაზრდებისათვის უცხო არ არის და რაზეც მათ შეიძლება ნაფიქრიც ჰქონდეთ. განსხვავებით შარშანდელისაგან, დავალება 20-ქულიანი იქნება. წინა წლებში, კრიტერიუმები ისე იყო შედგენილი, რომ ამ ტიპის დავალება 15 ქულით ფასდებოდა. ფაქტობრივად, გამოდის, რომ იმგვარად დაწერილ დავალებაში (რა თქმა უნდა, კარგად დაწერილ), როგორც შარშან დაწერდნენ, ნაცვლად 15 ქულისა, მიიღებენ 20 ქულას, ანუ რაც ადრე უნდა დაეწერათ, ის უნდა დაწერონ, ოღონდ შეიძლება მეტი ქულა მიიღონ. სხვა არანაირი ცვლილება ამ დავალებაში არ არის.

წლების განმავლობაში, 2006 წლიდან, უცვლელი სახითაა (მხოლოდ 2005-ში იყო განსხვავებული) წაკითხულის გააზრება-წერითი დავალება, ანუ შეთავაზებულია ლიტერატურული ტექსტები, რომელიც აბიტურიენტებს სკოლაში არ უსწავლიათ. ეს არის ქართული და უცხოური კლასიკური, გემოვნებიანი, კარგი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ამონარიდები ან პოეტური ნაწარმოებები მთლიანად, რომლებიც შედარებით დიდი მოცულობისაა. მათ უნდა წაიკითხონ და გაიაზრონ. ტექსტებს ერთვის ოთხი სავარაუდო პასუხის მქონე შეკითხვები, რომელთაგან ერთ-ერთია სწორი და აბიტურიენტებმა ტექსტიდან გამომდინარე უნდა უპასუხონ. წაკითხულის გააზრება მომავალშიც დარჩება, ერთი განსხვავებით შარშანდელისაგან – შემოსახაზპასუხიანი კითხვა იქნება არა 10, არამედ 15, ანუ ეს დავალება 15-ქულიანი იქნება. შეკითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ, იმავე ტექსტზე, რომელსაც აბიტურიენტები გაიაზრებდნენ, უნდა დაეწერათ მხატვრული ტექსტის ანალიზი. ზუსტად ასევე დარჩება. მხატვრული ტექსტის, ანუ თხზულების შეფასების კრიტერიუმები არ იცვლება და ისევ 25-ქულიანი იქნება.

გამოდის, რომ იქნება ერთი ენობრივი ნაწილი 40-ქულიანი, იმ ორი დავალებისაგან შემდგარი, რომელიც შარშანაც იყო და მეორე ნაწილი – ე.წ. კითხვისა და წერის, ლიტერატურული ნაწილი, რომელიც მთლიანობაში ასევე 40-ქულიანი იქნება. მთლიანობაში ჩვენი ტესტი იქნება 80-ქულიანი. ამოვარდა ორი შედარებით ნაკლები დატვირთვის მქონე ენობრივი დავალება, რომელიც იყო შემოსახაზპასუხიანი. ენობრივი კომპეტენცია ძალიან კარგად მოწმდება ტექსტის რედაქტირებით და ამ დავალებებს დიდი დატვირთვა არ ჰქონდა. ასევე ამოვარდა 25-ქულიანი ბლოკი, რომელშიც პატარ-პატარა ტექსტები იყო მოცემული საპროგრამო ლიტერატურული ნაწარმოებებიდან და ამ ტექსტებზე იყო შემდეგ რამდენიმე შეკითხვა დასმული, ფაქტობრივად, ესეც წაკითხულის გააზრება იყო, ოღონდ უკვე ნაცნობი, სკოლაში გავლილი ტექსტის. მეთოდოლოგიურად ეს გაუმართლებელია, რადგან წაკითხულის გააზრების უნარის, ანუ ფიქრის შემოწმება თუ გსურთ, ნასწავლი ნაწარმოებიდან მოტანილი ტექსტით ამას ვერ გაარკვევ – ვერ მიხვდები, ეს მან იქვე გაიაზრა გამოცდაზე თუ რეპეტიტორთან ან სკოლაში ნასწავლი ახსოვს. ეს იმ წერითი დავალების დუბლირება იყო, რომელიც ისედაც უნდა შეესრულებინა და რომელიც მართლაც გამართლებული და სწორია, რადგან არასაპროგრამო ტექსტებიდანაა ამონარიდები. ეს იყო გარკვეული ხარკი, რომ ქართული ლიტერატურის პროგრამა არ ამოვარდნილიყო. ჩვენ არც ვაგდებთ და ვერც ამოვაგდებთ ქართულ ლიტერატურას, რადგან ამ საგნის სწავლება სკოლებში არავის გაუუქმებია. ყველაზე დიდი არგუმენტი ამ ნაწილის ამოღების ის არის, რომ, მოგეხსენებათ, გასული სასწავლო წლის ბოლოს საკმაოდ წარმატებით ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მათ შორის ქართულ ენასა და ლიტერატურაში. საგამოცდო ტესტში არის ამ ტიპის შეკითხვები, სადაც ტექსტია მოცემული და შეკითხვები ოთხი სავარაუდო პასუხით, რომელთაგან ერთ-ერთი სწორია, გამომდინარე ტექსტის სწორი გაგებიდან და გააზრებიდან. ასევე იყო იმ ტიპის შეკითხვები, რომლებსაც ტექსტი არ ახლდა და მეთორმეტეკლასელს უნდა გაეხსენებინა გარკვეული ეპიზოდი, ორიენტირებული ყოფილიყო მასალის ცოდნაზე. გამოდიოდა ელემენტარული დუბლირება – ის ბავშვები ეროვნულ გამოცდაზეც იმავეს აკეთებდნენ. სწორედ ამიტომ ჩაითვალა, რომ ამ დავალებას არავითარი დატვირთვა აღარ აქვს ეროვნული გამოცდების ტესტში.

ტესტში პრინციპული ხასიათის ცვლილება არ არის იმ თვალსაზრისით, რომ არცერთი ახალი დავალება მომავალი წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში არ იქნება, ყველა დავალება იყო შარშანაც და შარშანწინაც, უბრალოდ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აღარ იქნება 26 (25+1) ქულა, იქნება 21 (20+1), რადგან 20 80-ის 25%-ია. შეიცვალა ქულების გადანაწილება – 100-ქულიანის ნაცვლად, გამოგვივიდა 80-ქულიანი ტესტი. ვექტორი არის აქეთ, გამარტივების მიმართულებით და არა პირიქით – გართულების.

გავიმეორებ, გამოსაშვები გამოცდების ტესტი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, არ შეიცვლება. ისევ იქნება წმინდა ენის ნაწილიც და ლიტერატურის ნაწილიც, რომელშიც იქნება ნაწარმოების ცოდნაზე ორიენტირებული შეკითხვები და შეკითხვები – წაკითხულის გაგებაზე.

> **კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, წერის კულტურა იზრდება. ბოლო ორი წლის ნაშრომების შედარებაც არ შეიძლება 2005-06 წლების ნაშრომებთან.**

არავის აზრად არ ჰქონია ქართული ლიტერატურის შევიწროება. ამიტომ მღელვარება, რომელმაც საზოგადოება მოიცვა, უსაფუძვლოა. არ არის მართალი მოსაზრება, თითქოს მოსწავლეები ქართულ ლიტერატურას აღარ ისწავლიან, რადგან ამას მხოლოდ ეროვნული გამოცდისთვის არ აკეთებდნენ. ლიტერატურის უცოდინარი ბავშვი სკოლის გამოსაშვებ გამოცდას ვერ ჩააბარებს, ამიტომ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ყურადღება სხვა რამეზე უნდა გავამახვილოთ. ეროვნული გამოცდები საუკეთესოთა შერჩევაა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.

> **ჩვენ არც ვაგდებთ და ვერც ამოვაგდებთ ქართულ ლიტერატურას, რადგან ამ საგნის სწავლება სკოლებში არავის გაუუქმებია. ლიტერატურის უცოდინარი ბავშვი სკოლის გამოსაშვებ გამოცდას ვერ ჩააბარებს.**

**წლევანდელ ეროვნულ გამოცდებზე როგორი იყო სურათი ქართულ ენასა და ლიტერატურაში?**

ერთი რამ კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, წერის კულტურა იზრდება. ბოლო ორი წლის ნაშრომების შედარებაც არ შეიძლება 2005-06 წლების ნაშრომებთან. მხატვრული ტექსტის ანალიზი და ესეს წერის კულტურა ნამდვილად ამაღლდა აბიტურიენტებში. ეს აისახა კიდეც ჩვენს კრიტერიუმებში. პირველ ორ წელიწადს სპეციალური კრიტერიუმი გვქონდა ჩადებული – ტექსტის მოცულობა. იმიტომ რომ, ძალიან გვეშინოდა და ასეც აღმოჩნდა – ნაშრომების დაახლოებით 1/3 იყო ცარიელი ან მხოლოდ ერთი აბზაცი ეწერა. ასეთი ნაშრომები, რა თქმა უნდა, არ სწორდებოდა, რადგან 200 სიტყვაზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ბოლო ორი წელია, ფაქტობრივად, ცარიელი ნაშრომები აღარ გვქონია. სხვა საკითხია, რას წერენ, მაგრამ ასეთი შემთხვევა აღარ გვქონია. უკვე შესაძლებელი გახდა აბიტურიენტთა ნაწერების დიფერენცირება არა მოცულობის კრიტერიუმის მიხედვით, არამედ შინაარსობრივი, რაც გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია. შემდგომში ეს კრიტერიუმი საერთოდ ამოვარდა და ყურადღება ექცეოდა არგუმენტაციას, დამოუკიდებელ აზროვნებას, ტექსტის აგების, ლოგიკური მსჯელობის, საკუთარი აზრის ნათლად და მკაფიოდ გამოთქმის უნარებს, ასევე, შესაბამისი მაგალითების მოხმობის უნარს ანალიზის დროს და ა.შ. უკვე მესამე წელია, ამგვარი კრიტერიუმებით ვასწორებთ ნაშრომებს. იმედი გვაქვს, მდგომარეობა უფრო და უფრო გამოსწორდება.

მესამე წელია, რაც სხვა ტიპის წერითი დავალება შემოვიღეთ, ე.წ. არგუმენტირებული ესე. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, მხატვრული ანალიზის გარდა, სხვა ტიპის წერითი დავალების შესრულებაც უნდა შეძლოს ადამიანმა – ელემენტარული განცხადების დაწერა, საპროექტო წინადადების შედგენა, არალიტერატურულ, განყენებულ საკითხებზე მსჯელობა. უნდა აღვნიშნო, რომ შარშანწინდელთან შედარებით წლევანდელი მდგომარეობა უკეთესი გახლავთ.

რა რჩება პრობლემად? ხშირ შემთხვევაში, აბიტურიენტები უყურადღებოდ კითხულობენ დავალების პირობას, არაადეკვატურები არიან დავალების პირობისა, ანუ იმას არ აკეთებ, რასაც მათ სთხოვენ. რატომღაც ამას წლების განმავლობაში არაფერი ეშველა, ძალიან სერიოზული პრობლემაა. არ ვიცი, რისი ბრალია, უბრალოდ უყურადღებობის გამო ხდება თუ წაკითხულის გააზრებისა და გაანალიზების უნარი არ აქვთ გამომუშავებული სკოლაში. სამწუხაროდ, წლევანდელმა შედეგებმაც იგივე სურათი აჩვენა. მაგალითად, დავალების პირობაში წერია: ამოიწერე ორი სიტყვა, რომელიც გამოხატავს... იწერენ მთელ სტრიქონს, ამის შეფასება კი ნულია. იმიტომ რომ, მთელ სტროფს რომ გადმოწერს, ის ორი სწორი სიტყვაც მოხვდება, მაგრამ როგორ უნდა შეაფასო, სწორად ჩაწვდა თუ არა აბიტურიენტი დავალების პირობას. როდესაც პირობა გეუბნება, ამოწერე ორი სიტყვა, უნდა ამოწერო ორი, ერთს ან სამს თუ ამოწერ, ეს დავალება უკვე აღარ გასწორდება. აი, ასეთი ელემენტარული – დავალების პირობის უყურადღებოდ წაკითხვა ან უარესი – ვერგაგება დაუძლეველ პრობლემად რჩება. საბედნიეროდ, წერის თვალსაზრისით, ნამდვილად პროგრესი გვაქვს. იმედია, ჩვენი ახალგაზრდები მომავალში ამ პრობლემასაც დაძლევენ.

*ესაუბრა*
*ლალი თვალაბეიშვილი*

იუბილე

# სკოლის დაარსებიდან 100 წელი მიილია



ზუგდიდიდან ჯვარის გზას რომ გაყვებით და ზედაეწერის სანახებს უკან მოიტოვებთ, ბარჩხალა მზის სამეფოში მოხვდებით, რომელსაც საკმაოდ პოეტური სახელი „ჩხორია“ ჰქვია. სოფელი ზუგდიდის ცენტრიდან 15 კილომეტრითაა დაშორებული. აღმოსავლეთით სოფელი ჭკადუაში ესაზღვრება, დასავლეთით – სოფელი ტყაია, ჩრდილოეთით – სოფელი ლია (წალენჯიხის რაიონი), სამხრეთით კი – სოფელი ზედაეწერი. სოფლის ცენტრშია მწვანეში ჩაფლული სკოლის ორსართულიანი შენობა, რომელსაც წელს დაარსებიდან 100 წელი შეუსრულდა.

ადვილი არ ყოფილა განვლილი ასწლიანი გზა. სკოლის გახსნის ინიციატორი და პირველი გამგე იყო მასწავლებელი მიხეილ ჩაგუს ძე ფიფია. სკოლა მაშინ მოთავსებული იყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხის შენობაში. 1910-1914 სასწავლო წელს იყო დაწყებითი სკოლის პირველი გამოშვება. 1916 წელს სკოლის შენობა ხანძარმა გაანადგურა, რის შემდეგ გადაიტანეს ჯერ ტაგუ ფიფიას, შემდეგ კი ვლადიმერ ფიფიას ოჯახებში, 1920-1921 სასწავლო წლიდან კი – სოფლის ცენტრში, ნოჩო ჯალაღონიას სახლში. 1936-1937 სასწავლო წელს ჩხორიის 7-წლიანი სკოლის დირექტორად დაინიშნა ბატონი სერგო ალშიბაია, რომელიც 1944 წელს გადაიყვანეს ტყაიის სკოლის დირექტორად, რის შემდეგ სკოლის დირექტორად მუშაობდნენ: ილარიონ ჩქვანავა და ამბაკო სართანია. 1953 წელს სერგო ალშიბაია ისევ უბრუნდება ჩხორიის სკოლას დირექტორად და მუშაობს 1974 წლამდე. 1974 წლიდან სკოლის დირექტორია ნოე ჩხეტიანი, 1979 წლიდან 2005 წლამდე – მაყვალა ჯგუბურია, 2005 წლიდან – იზოლდა ხვიჩავა.

საუკუნის მანძილზე სკოლაში ბევრ სახელოვან პედაგოგს უმოღვაწია. პირველ რიგში, არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ გიორგი ფიფია, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, პროფესორი, რომელმაც არაერთ აღსაზრდელს ჩაუნერგა მათემატიკის სიყვარული. ღირსების ორდენის კავალრები: სერგო ალშიბაია და გიორგი ფიფია, ტატიანა თორდია და მაყვალა ჯგუბურია.

სკოლა ამაყობს წარმატებული კურსდამთავრებულებით: საავიაციო ქარხნის დირექტორი პანტიკო თორდია, პოეტი დილარ ივარდავა, პროფესორები: მზია ჯიქია, ზაურ ჩქვანავა, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ნიკა ძიმცეიშვილი, ამავე სამინისტროს თანამშრომელი შავლეგ მოდებაძე, ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები: მირდატ აკობია და თემურ საჯაია, თაღოვანი კაშხლის დირექტორი ჯონი ჭანია, განათლების სამინისტროს ერთ-ერთი პასუხისმგებელი მუშაკი მედეა შამუგია; ცნობილი ბიზნესმენები, ძმები – ელდარ და ლეო მილდიანები, ემზარ ქალდანი. წარმატებით მოღვაწეობენ სკოლის კურსდამთავრებულები: ალექსანდრე ახვლედიანი, თეა და მაკა ფიფიები, პაატა ძანძავა, პაპუნა გაბისონია, ქეთო ფიფია; სასულიერო პირები: დეკანოზი მამა გალაქტიონ ფიფია და მამა ბაქარ სოსელია; ძველი თაობის წარმომადგენლები: ლერი და ოთარ ჭითანავები, ვაჟა ფიფია, გივი სოსელია, დათო კუხალეიშვილი, გივი არდია, ვახტანგ ყუფუნია, რომლებიც დღესაც აქტიურად უდგანან მხარში მშობლიურ სკოლას. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს...

სკოლაში ამჟამად 22 მასწავლებელი მოღვაწეობს. აქედან 19 – მაგისტრის წოდებით, 5 – ბაკალავრის, 3 – სერტიფიცირებული: ინგა სამუშია, თეა ფიფია, ირინა სოსელია.

სკოლამ კარგად აუწყო ფეხი რეფორმას. უმრავლესობას გავლილი აქვს ტრენინგები და თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ატარებენ გაკვეთილებს.

როგორც ცნობილია, სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. 1967 წლამდე სკოლა ხის შენობაში ფუნქციონირებდა, რომელიც 13 ოთახისაგან შედგებოდა. ასე იხსენებს მაშინდელ სკოლას პოეტი დილარ ივარდავა: *„ჩხორიის საშუალო სკოლის ხის შენობა დიდი ვერაფერი ვერსალის სასახლე გახლდათ და უფრო ლუარსაბ თათქარიძის საცხოვრისს მოგაგონებდათ: ბოკონზე შემდგარი ღრიჭოიანი იატაკით, განსაკუთრებით ზამთარში იყო აუტანელი, ქარი თავისუფლად შემოისეირნებდა, ჩვენ ჩაგვეხვეოდა და მერე კბილებჩაცვენილი (მინებჩამსხვრეული) ფანჯრებიდან გაურკვეველი მიმართულებით გაუყვებოდა გზას. ჩვენ კი მორიგი გაკვეთილის იმედად დარჩენილნი, იქნებ ბუხარი მაინც აგვინთონო, ვძაგძაგებდით, იატაკზე ფეხებს ვაბრახუნებდით და ველოდით დირექტორატის გადაწყვეტილებას. ხშირად მოლოდინი მართლდებოდა... შეშას მოგვცემდნენ თუ არა, ბუხარში ცეცხლს გავაჩაღებდით...“* 1967 წელს კი ექსპლოატაციაში შევიდა სკოლის ახალი კაპიტალური შენობა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია GHF-ის მიერ, პროგრამა „ბავშვის“ ფარგლებში, ჩაუტარდა ევრორემონტი, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაარემონტა სკოლის წინა ფასადი.

სკოლის დაარსებიდან 100 წელი მიილია. საუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხორიის სამოყვარულო თეატრის დარბაზში თავი მოიყარეს ყველა თაობის კურსდამთავრებულებმა, ასევე სტუმრებმა: რაიონისა და ქალაქის ხელმძღვანელებმა – ბატონებმა: ალექსანდრე ქობალიამ, რუსლან კილასონიამ, ლევან კონჯარიამ, გია სხულუხიამ, ზუგდიდის რესურსცენტრის უფროსმა აზა ჯოჯუამ, ქალაქისა და რაიონის სკოლის დირექტორებმა: კახა ფარცვანიამ, ლევან ღურწკაიამ, ნათია ხუფაცარიამ, თამაზ თორდიამ, მარინა ქარცხიამ, დალილა ჩიქავამ.

იუბილარი სკოლის წარსულსა და აწყმოზე ვრცლად ისაუბრა სკოლის დირექტორმა იზოლდა ხვიჩავამ.

ამ საზეიმო დღეს, სიტყვით გამოსულმა კურსდამთავრებულებმა დიდი სინანულითა და სიყვარულით გაიხსენეს გარდაცვლილი პედაგოგები: მიხეილ და გიორგი ფიფიები, სერგო ალშიბაია და ნოე ჩხეტიანი, სილამაზითა და სათნოებით გამორჩეული ქალბატონი ტატიანა თორდია და სხვები.

დარბაზი დიდი ოვაციით შეხვდა 92 წლის ქალბატონის, ყოფილი მასწავლებლის, ზინაიდა ფიფიას გამოსვლას, რომელმაც მშობლიური სკოლისადმი სიყვარული საკუთარ ლექსში ჩააქსოვა:

*„მოფერება მინდა შენი,*
*ჩემო სულის ლამპარო,*
*წამით მაინც მოვიგონო,*
*ძველი ჩემი სამყარო...*
*მოთმინებით დავიჩოქებ*
*და გულს მით დავიოკებ,*
*შენს წარსულზე, აწმყოზე*
*და მომავალზე ვილოცებ!..“*

საზეიმო საღამოზე კიდევ ერთხელ გახმიანდა სკოლის 90 წლის იუბილეზე ბატონ ოთარ ჭითანავას მიერ დაყენებული საკითხი – სკოლისათვის მისი დამაარსებლის, მიხეილ ფიფიას სახელის მინიჭების თაობაზე.

**მაყვალა ჯგუბურია**
*ჩხორიის საჯარო სკოლის პედაგოგი*

ინფორმაცია

* * *



მანდატურებმა სამტრედიის №15 სკოლა-პანსიონის სპეციალური საჭიროების მქონე აღსაზრდელები მოინახულეს და კომპანიის „მასტერ სპორტი“ წარმომადგენლებთან ერთად სხვადასხვა სახის საჩუქრები გადასცეს. სპორტული ინვენტარი, რომელიც მოზარდებს გადაეცათ, მათ ჯანსაღი წესით ცხოვრებაში დაეხმარება.

სამტრედიის №15 სკოლა-პანსიონში ქუთაისის მანდატურების სტუმრობა კვლავაც გაგრძელდება. მათი მიზანია, იზრუნონ სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების უსაფრთხოებაზე. ქუთაისის სკოლის მანდატურები სამტრედიის სკოლა-პანსიონის მოზარდებს კიდევ ბევრ ლამაზ სიურპრიზს ჰპირდებიან.

სამტრედის №15 სკოლა-პანსიონში 11-დან 16 წლამდე ასაკის 20 მოსწავლე ცხოვრობს. სკოლა-პანსიონში ყველა პირობაა შექმნილი განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობისთვის.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა ახლად რეაბილიტირებული „თბილისის მწვანე სკოლა“ დაათვალიერა.

„თბილისის მწვანე სკოლა“ 134-ე საჯარო სკოლის პრივატიზების შედეგად, რამდენიმე თვის წინ დაარსდა და ავტორიზაციის პროცედურა წარმატებით გაიარა. აღებული ვალდებულებების მიხედვით, ყოველწლიურად სკოლაში მოსწავლეთა უფასო კონტინგენტი ისწავლის. ამჟამად სკოლაში 650-მდე მოსწავლე ირიცხება, საიდანაც 350-ზე მეტი განათლებას უსასყიდლოდ იღებს.

„თბილისის მწვანე სკოლა“ ინფრასტრუქტურით საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. სკოლას ორი თანამედროვე ბიბლიოთეკა, უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ოთახები და ლაბორატორიები აქვს. 1.5 ჰექტარ ფართობზე ულამაზეს ასწლოვან ეზოში განლაგებულია ჩოგბურთის კორტი, ღია სპორტული მოედნები; არის, ასევე, კალათბურთის დარბაზი, კაფეტერია, სხვადასხვა სასწავლო და საალმზრდელო დანიშნულების ღია ფანჩატურები და სკვერები.

„თბილისის მწვანე სკოლის“ აკადემიური კოლექტივი უმაღლესი რანგის სერტიფიცირებული პედაგოგებითაა დაკომპლექტებული. ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, ავტონომიური დაცვის და უსაფრთხოების თანამედროვე სისტემა. შვილების აკადემიური წარმატებებისა და ლოკაციის შესახებ მშობლები ინტერნეტით და ტექსტური შეტყობინებებით მუდმივ რეჟიმში არიან ინფორმირებულნი.

134-ე სკოლის მაგალითმა აჩვენა, რომ პროექტი, რომელიც საჯარო სკოლაში კერძო ინვესტორის შეყვანას ითვალისწინებს, წარმატებულია და სამინისტროს მიერ დასახული მიზნები ამ პროექტის ფარგლებში შესრულებულია.

სკოლებში სწავლების ხარისხისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნერების სამინისტრომ საჯარო სკოლებში კერძო ინვესტორის შეყვანის პროექტი შეიმუშავა.

სკოლები, რომლებიც მოსწავლეთა დიდ რაოდენობაზე იყო გათვლილი, მაგრამ მესამედიც არ სწავლობდა, გარკვეული პირობებით, კერძო ინვესტორებს გადაეცათ. ერთი მხრივ, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ კონკრეტული საჯარო სკოლა, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, კერძო სკოლას გადასცეს, მეორე მხრივ, კერძო სკოლა ვალდებულია, პროფილი არ შეცვალოს და შენობაში მხოლოდ საგანმანთლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდეს. გარდა ამისა, მუდმივად დარჩება უფასო კონტინგენტი. კერძოდ, ასეთ სკოლებში ყოველწლიურად ისწავლის იმდენივე მოსწავლე, რამდენიც ინვესტორს სკოლაში შესვლისას დახვდა.

თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ კერძო სკოლაში უპირატესობა, ძირითადად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მოსწავლეებს მიენიჭებათ. ისინი იმავე პრივილეგიებით ისარგებლებენ, რომლითაც კერძო სკოლის მოსწავლეები სარგებლობენ. რაც შეეხება კერძო ინვესტორების მიერ გადახდილ თანხას, ახლომდებარე სკოლების ინფრასტუქტურის განვითარებას მოხმარდება.

# 300 არაგველის სახელობის 75-ე საჯარო სკოლის საჩუქარი ქართველ საზოგადოებას

„ასეთი დარი თუ იყო მაშინ, ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა“ – ანა კალანდაძის ამ მშვენიერი სტრიქონებით დაიწყო ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია, რომელიც თბილისის 300 არაგველის სახელობის 75-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს კრწანისობის დღეს, 24 სექტემბერს (დირექტორი – **ოლია ქიტიაშვილი**).

საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ისა და წმინდა ნიკოლოზის ტაძრის დეკანოზის, მამა ბესარიონის ინიციატივით, ყოველი წლის 24 სექტემბერს, „კრწანისობა“ იმართება. ეს უკვე ტრადიციაა. ამ დღეს უამრავი ადამიანი იკრიბება ღია ცის ქვეშ, 300 არაგველის სახელობის ბაღში. უწმინდესი და უნეტარესი აღავლენს კრწანისის ომში დაცემულ სასულიერო და საერო პირთა სულების მოსახსენიებელ პარაკლისს, შემდეგ კი იმართება კონცერტი, რომლის მონაწილენიც პატივს მიაგებენ კრწანისის ომის გმირებს.

წლევანდელი კრწანისობა ჩვენი სკოლისთვის დაუვიწყარი იქნება, რადგან საშუალება მოგვეცა, ჩვენი დამოკიდებულება გამოგვეხატა გმირი წინაპრებისადმი.

24 სექტემბერს მთელმა სკოლამ სამასი არაგველის სახელობის ბაღს მიაშურა. წითელი ბაირაღებით, ჩირაღდნებითა და ალისფერი ყვავილებით ხელდამშვენებული მოსწავლეები იმპროვიზებულ სცენასთან განლაგდნენ. პარაკლისის შემდეგ კი, სცენაზე ასულმა მოსწავლეებმა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციით გააცოცხლეს კრწანისის ომის პერიპეტიები, ომის გმირთა თავგანწირვას ხოტბა შეასხეს და მუხლი მოიდრიკეს მათი საფლავების წინაშე, წითელი ყვავილებით მოფინეს კრწანისის მიწა, ოდესღაც გმირთა სისხლით რომ შეიღება. მოსწავლეთა გამოსვლა ძალზე ამაღელვებელი აღმოჩნდა დამსწრე საზოგადოებისთვის. მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს წარმოდგენის მონაწილეებს.

ამ დაუვიწყარ დღეს 300 არაგველის სახელობის 75-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა უჩვენეს საზოგადოებას, რომ ღირსეულად ატარებენ კრწანისის გმირთა სახელს.







სკოლის დირექტორი, ქალბატონი ოლია ქიტიაშვილი ასეთ შეფასებას აძლევს მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილ კომპოზიციას: *„მაყურებელი თვალზე ცრემლმომდგარი უსმენდა პატარა მსახიობებს, რომლებიც კრწანისის ომს, მარცხისა და სულიერი ამაღლების მაგალითებს იხსენებდნენ. ეს უკვე გამარჯვებაა! მჯერა, რომ ეს ბავშვები ღირსეულ მოქალაქეებად, სამშობლოს ერთგულ დამცველებად მოევლინებიან საქართველოს!“*

***მაია პაპუნაშვილი***
*ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის თავმჯდომარე*

## ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, 94-ე საჯარო სკოლის პირველკლასელებთან ერთად, კომპიუტერული ქარხანა „ალგორითმი“ დაათვალიერა. მოსწავლეები კომპიუტერების აწყობის პროცესს გაეცნენ და პირადად ნახეს, თუ როგორ იტვირთება ის პროგრამები, რომლებსაც სკოლაში კომპიუტერის დახმარებით სწავლობენ.

კომპიუტერული ქარხნის დათვალიერების სურვილი მოსწავლეებმა თავად გამოთქვეს. მინისტრმა კი ბავშვებს თხოვნა შეუსრულა და ქარხანა დაათვალიერებინა.



საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, წელს, 60 ათასამდე პირველკლასელს და მათ დამრიგებლებს ქარხანა „ალგორითმში“ აწყობილი კომპიუტერი გადაეცა. აქვე ჩაიტვირთა ის პროგრამებიც, რომელიც კომპანია INTEL-თან თანამშრომლობით, მათივე პროგრამებით, სპეციალურად საქართველოს სკოლებისთვის, საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შეიქმნა. მოსწავლეებისთვის კომპიუტერების გადაცემა მიზნად ისახავს განათლების სისტემაში მსოფლიო სტანდარტების დანერგვას, ბავშვებში შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასა და მათ ინტეგრაციას განათლების საერთაშორისო სივრცეში.

სასწავლო პროცესში კომპიუტერის ეფექტურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, სამინისტრომ პირველი კლასის ყველა დამრიგებელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში გადაამზადა. ისინი გაეცნენ როგორც კომპიუტერების ფიზიკურ სტრუქტურასა და მასთან მუშაობას, ასევე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ისტ) გამდიდრებული გაკვეთილისა და სასწავლო პროექტების მომზადებას.

კომპიუტერული ქარხანა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა 2011 წლის 25 ივლისს გახსნეს. ასეთი მასშტაბის ქარხანა მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთია. მას აქვს რესურსი, წელიწადში, დაახლოებით, მილიონამდე კომპიუტერი გამოუშვას და რეალიზაცია უცხოეთში მოახდინოს. მომავალში, ქარხანას ყველანაირი სახის კომპიუტერული ტექნიკის წარმოება შეეძლება, რაც, თავის მხრივ, დასაქმებას და ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ზრდას შეუწყობს ხელს.

* * *

ზესტაფონის რაიონის სოფელ ფუთში ახალი სკოლა აშენდა. ახლად აშენებული სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

სკოლის მშენებლობა სოფელ ფუთში 2010 წელს დაიწყო და ერთი თვის წინ დასრულდა. 250 ბავშვზე გათვლილი ახალი სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისადაა აღჭურვილი. პროგრამა „აინშტაინის“ ფარგლებში მოწყობილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ფუნქციონირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების კაბინეტი და ბიბლიოთეკა. ახალ სასწავლო წელს ფუთის საჯარო სკოლის ყველა პირველკლასელმა პრეზიდენტისგან საჩუქრად ნეთბუქი მიიღო.

სკოლის ძველი შენობა ფუთში გასული საუკუნის 80-იან წლებში აშენდა. მიწისძვრის შედეგად შენობა ავარიული გახდა. ამის გამო, სამი წლის განმავლობაში, სკოლა ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში იყო განთავსებული. 150 მოსწავლეს არასტანდარტულ, არაკომფორტულ და არასაგანმანათლებლო გარემოში უწევდა სწავლა.

ამორტიზებული შენობის გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ფუთში ახალი სკოლის მშენებლობა გადაწყვიტა. თანადაფინანსების პრინციპით განხორციელებულ პროექტში 650 ათასი ლარი დაიხარჯა. სკოლის მშენებლობისთვის თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან, რეგიონალური განვითარების ფონდიდან და ზესტაფონის რაიონის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან გამოიყო. სოფელ ფუთის ახალ სკოლაში ამჟამად 215 მოსწავლე სწავლობს.

# აქ დავიბადე, მაგრამ ოჩამჩირელი ვარ!..

## თაობა ფესვებს ეძებს

**აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობა ვაშლიჯვრის მაღლივი კორპუსის ციცქნა ოთახებსა და ამოშენებულ ლოჯიებში გაიზარდა. მათი წარმოსახვა აფხაზეთზე, უფროსების მიერ ტკივილიანი, შიშიანი, ომის სისხლიანი ფრაგმენტების მოგონებებით არის ნაკვები.**

**მოზარდებს უყვართ აფხაზეთი, რომელიც არ უნახავთ. უყვართ შეჩვეული გარემოც, თანატოლები, სკოლის მეგობრები, მაგრამ თუ არჩევანის ზღვარზე დადგებიან, „თვალით უნახავ“ სამშობლოს, აფხაზეთს აირჩევენ.**

**ეს არის მთავარი აქცენტი, რასაც მათ ნაწერებში ამოიკითხავთ. ამ სკოლის სხვადასხვა კლასებში, თავისუფალი თემა „ჩემი აფხაზეთი“ 27 სექტემბერს საგანგებოდ ამისთვის დაიწერა.**



*მზია ცაავა-კოლოჩევა მოსწავლეებთან ერთად*



*აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: მზია ცაავა-კოლოჩევა, ლელა თოდუა და ხათუნა სილაგაძე*

### მარი სუზელიანი

„არ მინახავს ჩემი აფხაზეთი, მაგრამ მაინც მიყვარს. როდესაც ბებიას ვეკითხები იქაურ ამბებზე ცრემლებით მელაპარაკება დაკარგულ სამოთხეზე, ქართველთა და აფხაზთა თანაცხოვრებაზე. თუ როგორ იყოფდნენ ერთმანეთის ჭირსა და ლხინს. საკუთარ სამშობლოში ბუდეაშლილები სხვათა სამკვიდროს შევეხიზნეთ, მაგრამ ყველას გვჯერა, დარეკავს დაბრუნების ჟამი და ჩვენ დავბრუნდებით.

„ფრთებს დამსხვრეულს
ისევ გავშლით,
ძველ ბუდეში ჩავბუდდებით,
იქნებ სხივი ჩაქრეს თვალში
მაგრამ მაინც დავბრუნდებით“.

### ნინო აბაზაშვილი

„როგორც არ უნდა შეეცადონ წართმევას და ვინც არ უნდა შეასახლონ ჩვენს მიტოვებულ სახლებში, ფუძის ანგელოზი სხვა ბინადრებს ვერ იგუებს. უქართველებო აფხაზეთი არც აფხაზებს მოსწონთ, მაგრამ თავსმოხვეული პოლიტიკის მსხვერპლნი არიან და ახლა ამისგან უჭირთ თავის დაღწევა. როდესაც უფროსები (მშობლები, პედაგოგები) იქაურ ამბებზე მიყვებიან, თითქოს ფრთებშესხმული ვხდები, ვგრძნობ, რომ აფხაზეთი ისევ ჩემია! ის ჩემი მშობლების მოგონებებში ცოცხალია, მათი ჭრილობაა და როგორ უნდა იყოს სხვისი?“

### ოთარ ჯომიდავა

„ჩემთვის აფხაზეთი მხოლოდ წარმოსახვაში არსებობს და ყველაზე ლამაზია. დაბრუნება იმიტომ კი არ მინდა, რომ ეს სამოთხე ვიხილო, ჩემი ფესვები მაინტერესებს, მინდა ვნახო, საიდან მოვდივარ, ვინა ვარ?!“

### სოფო ჩიხლაძე

„აფხაზეთის ტკივილს ჩემი მშობლების სახეებზე, მათ ცრემლებში ვკითხულობ. ის ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე ჩემს თაობას ჰგონია. ბევრჯერ მიოცნებია, რომ გამევლო ჩემი ქალაქის ქუჩებში, ჩამესუნთქა იქაური ჰაერი, მენახა მისი განთიადები და დაისები. მზე საოცრად ლამაზად ჩადის ზღვაში, თითქოს თავს იხრჩობსო... ეს ყველაფერი ჩემში წარმოსახვით არსებობს. ჩემი აზრით, აფხაზეთი, თავისი სილამაზის მსხვერპლი გახდა“.

### ბექა ქოჩქიანი

„აფხაზეთის ომმა უპოვარი გაამრავლა საქართველოში. ომით გაუბედურებული ხალხი დღემდე ვერ წამოდგა ფეხზე. მათ წაართვეს ის, რაც ყველაზე მეტად უყვართ. ვერწართმეული აფხაზეთის ცა – მხოლოდ აფხაზეთისთვის დაცემული ბიჭების ზეციური სამკვიდროა, ჩემი თაობის აფხაზეთი კი ფოტოებია და ქვეცნობიერი ლტოლვა ფესვებისაკენ“.

### მარი გერლიანი

„ძნელია, როდესაც ყოველდღიურად, შინ თუ გარეთ, სკოლასა თუ ოჯახში წარსული დროის ფორმით გესმის: რა ლამაზი იყო აფხაზეთიო!... ის თაობა, რომელიც აფხაზეთში ცხოვრობდა, ჩვენს თაობაზე ბევრად უფრო ბედნიერია, რადგან მათ იციან, თუ როგორი იყო აფხაზეთი. ჩვენ კი... მას ხან ინტერნეტში ვეძებ, ხან ოჯახურ ფოტო-ალბომებში, ხან... ჩიტების ჭიკჭიკში მგონია, თითქოს ფრინველები ჩვენთვის გაუგებარ ენაზე აფხაზეთზე მიყვებიან საბუდარმოშლილს...“

### მარიამ იასალაშვილი

„ომმა ჩემს თაობას ლაღი ბავშვობა წაართვა. ჩვენ დავიჩაგრეთ! კედლები, სადაც ვიზრდებით გაჟღენთილია აფხაზეთის ტკივილით. ჩემმა მშობლებმა აფხაზეთის დაკარგვით რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი დაკარგეს... ღმერთმა რომ მომცეს ძალა, რუსებს იქიდან გავაძევებდი და ისევ გავაბედნიერებდი ამ ხალხს!..“

### თემურ ქარდავა

„აფხაზეთი ჩემში უფროსების (მშობლებისა და პედაგოგების) ნაამბობით შემოვიდა. მე ვიცი, სად იყო ჩემი სახლი, მამა-პაპათა საფლავები... ერთხელ ჩემი უახლოესი მეგობარი დაინტერესდა აფხაზეთით და მეც, რაც კი ვიცოდი, ყველაფერი ვუამბე. როდესაც ომზე დავიწყე ლაპარაკი, მას ცრემლები წამოუვიდა... მე ის გამიკვირდა, ეთნიკური მხარით – თიანელმა ასე გულთან რომ მიიტანა სხვა კუთხის სატკივარი!...“

## ომი ომამდე დაიწყო აფხაზეთში

**ხათუნა სილაგაძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „ქართული სულიერება ომამდეც იდევნებოდა აფხაზეთიდან. უნივერსიტეტის ცნობილი მოვლენების შემდეგ ქართული სექტორის გამოდევნას, სკოლებიდანაც შეეცადნენ. ქართველმა მასწავლებლებმა, წინააღმდეგობის გაწევით, მაშინ ომის წინარე ომი მოვიგეთ. 1992 წლის ზაფხულში, როდესაც ახალი სასწავლო წლისთვის მზადება კაბინეტების ღებვით დავიწყეთ, დარაჯმა (ეროვნებით – აფხაზმა) გვითხრა: „Девочки, вы напрасно красите, тут все равно война будет...“

ომი ომამდე დაიწყო აფხაზეთში! ოჩამჩირის რაიონში სანგრები ჯერ კიდევ 1978 წელს გაითხარა, ომის დროს იგი დახავსებული იყო.

ომში ბიძაშვილები დავკარგე. ომის მსხვერპლია ჩემი და – მაკა. იგი შიშისგან მიღებული სტრესის გამო გადმოსვლისთანავე გარდაიცვალა. მამამ შვილის სიკვდილს ვერ გაუძლო და 56 წლის ასაკში დაასრულა სიცოცხლე. სიკვდილს სასწაულებრივად არის გადარჩენილი ჩემი ძმა, სატანკო ბატალიონის ასმეთაური, ვიცე-პოლკოვნიკი, რამაზ სილაგაძე.

ახალ კინდღელებს, ინტერნეტში, საკუთარი საიტი გვაქვს გახსნილი, სადაც იქიდან გამოგზავნილი ვიდეოფირი გვიდევს. ძილად მისვლის ლოცვებამდე ყველა ახალკინდღელი ამ კადრებს უყურებს, რომ ძილში ჩაყოლილ აფხაზეთში გადასახლდეს. არ გვინდა გაღვიძება!... მრცხვენია, მაგრამ გულწრფელად უნდა ვთქვა: გარდაცვლილ მამაზე მეტად აფხაზეთი, ახალი კინდღი, ჩემი სახლი, ჩემი მეზობლები, ჩემი ხალხი მენატრება!

## ერის ისტორიის არცოდნა უპატიებელია

რაც შეეხება სასწავლო პროცესს, აქაც მინდა გულწრფელი ვიყო. დღეს ჩვენი პოლიტიკოსები იმდენად არიან დაკავებული პოლიტიკით, რომ დაავიწყდათ საერთო საქმე. საბჭოთა რეჟიმი ქართულ სულს კლავდა, ბევრმა წნეხს ვერ გაუძლო და მას ემსხვერპლა. თუ ჩვენთვის სულერთი იქნებოდა, მე ქართულად ვილაპარაკებდი თუ ინგლისურად, მაშინ რატომ დავკარგე აფხაზეთი?

ქართველმა გლეხმა როდის თქვა, რამდენი ენა იცი, იმდენი კაცი ხარო! მე ჩემს ქართულთან ერთად ვსწავლობდი გერმანულს, სხვაგან სხვა სწავლობდა ფრანგულს, ინგლისურს. ამაში არაფერია ახალი. საყველპურო რუსულის გარდა, ვიცოდი გერმანული, ვთარგმნი თავისუფლად... საბჭოთა ეპოქაში თუ ბავშვი სკოლას უმიზეზოდ გააცდენდა, აუცილებლად იცრუებდა, რადგან... მიზეზის გამხელის სცხვენოდა. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც არ ამბობდა, რაც დღეს ითქმის: არ მინდოდა და არ მოვედიო. ეს იმიტომ მოხდა, რომ ოთხი წელი მოსწავლეს უფლება ჰქონდა, რა საგნებიც უნდოდა, ის ესწავლა.

კომპიუტერი წიგნს ვერ ცვლის. დაწკაპუნებით მიღებული ცოდნა არ რჩება მეხსიერებაში. ის რაც წაკითხვით, სემინარით, გაანალიზებით მისწავლია, დღემდე ვიცი. მხოლოდ დაწყებითშია დღეს ბავშვი წიგნს მიჯაჭვული, მერე მისაბმელია და შედეგიც სახეზეა: კომპიუტერს უახლოვდება და წიგნს შორდება. უწიგნურობით ქართული სული ბლაგვდება, ერის ისტორიის არცოდნა უპატიებელია!

ილიამ ლელთ ღუნიას ათქმევინა, შინაგანად თავისუფალი ადამიანი შეძლებსო დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრებას. უცხოეთიდან ჩამოტანილი ცოდნის პირდაპირი მორგება ისეთი ცივილიზებული ერისთვის, როგორც ქართველია, შეუძლებელია. დასაკარგი ნამდვილად გვაქვს. ერის შემობრუნების მესაჭე დღეს პატრიარქია. იმედი რწმენაშია“.

## ჩვენ დავბრუნდებით!

**მზია ცაავა-კოლოჩევა,** ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, თბილისის საბავშვო ბაღის „სინათლეს“ დირექტორი:

„აფხაზეთის დაცემის შემდეგ, მიუხედავად ათასგვარი ტკივილისა, დამცირებისა და უიმედობისა, ფეხზე წამოვდექი, ბედისწერას შევეჭიდე და სიცოცხლე ვამრავლე საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში. ჩემი მიზანია, აღსაზრდელებს არ დავავიწყო აფხაზეთი. ვუნერგავ, რომ ჩვენ მომავალში ვიცხოვრებთ იმ ხალხთან ერთად, ვისთანაც საუკუნეების მანძილზე გვიცხოვრია. პატრიოტულ სულისკვეთებას შორეული საქართველოდან ბელგიაში ჩემს ერთადერთ შვილიშვილს – ლუკა ჩემიასაც ვუნერგავ. ვმუშაობ სკოლასა და საბავშვო ბაღში. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დაფრთიანებული პატარები, სკოლაში ჩემი მოსწავლეები ხდებიან. მე მათით ვხარობ, მე მათთან ერთად დავბრუნდები აფხაზეთში!

შიშნარევი სიხარულით და ენით აუწერელი ბედნიერების შეგრძნებით დავადგამ ფეხს მიწას, ჩავიმუხლები, მიწას ვემთხვევი და ჩუმად ვითხოვ პატიებას იმისათვის, რომ ვერ ვუპატრონეთ და მტრის საჯიჯგნად გავხადეთ. ჩემს სახლამდე, იმ დიდ მანძილს ჩქარა გავივლი. მთელი გზა ფეხშიშველი ვივლი... ხელის კანკალით შევაღებ ეზოს კარს... არ შემეგებება ოჯახის უფროსი (მეუღლე – ამირან კოლოჩევი – სოხუმის რაიონის მილიციის მაიორი, ომში, სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაიღუპა, 1993 წლის 5 იანვარს), ეზოში გავალ, ღრმად ჩავისუნთქავ, ყველა ხეს დავკოცნი, ვენახს მოვეფერები, ყველაფერს ხელით შევეხები. ბოლოს სასაფლაოზე გავალ და სიკვდილ-სიცოცხლის გამოცდას იქ ჩავაბარებ. თუ გადავრჩი, ალბათ, დაბრუნების ბედნიერი წუთების სიხარულით გადავრჩები... ყველაფერს გავუძლებ, ყველაფერს ავიტან, კვლავ ავაყვავებ ჩემს ფუძეკერას... ოღონდაც სამშობლოში დამაბრუნე, უფალო!“

***სვეტლანა კვიკვინია,***
*საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი*

## ჩემი აფხაზეთი

„ჩემი აფხაზეთი... ჩემი მშობელი კუთხე... ჩემი ხალხი... ჩემი სახლი... ბევრი ამბობს, რომ შორს ხარ, მაგრამ ჩემს გულში ცოცხლობ, ჩემს პატარა გულში გიტევ, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარხარ. ხანდახან მგონია, რომ შენგან ერთი ნაბიჯი მაშორებს, მაგრამ სინამდვილეში უფრო მეტია. რა მიშლის ხელს იმაში, რომ შენთან ვიყო, შენს მიწაზე ვიარო და ღამ-ღამობით შენს ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ვუყურო! იქნებ ესაა შიში მრავალწლიანი განშორებით გამოწვეული. ან კიდევ რამე ისეთი, რომ ჯერ არ განმიცდია, არ მიგრძვნია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, რომ სულ ახლოს ხარ, ჩემს გულში და ჩემი სულის ნაწილად იქეც. იცი, ერთხელ გესტუმრე, მაგრამ, ალბათ, ვერ მიცანი – ისე არ დამხვდი, როგორც ველოდი. არსად იყო მომღიმარი ხალხი და მოკისკისე ბავშვები, სამაგიეროდ ირგვლივ იყო შემაძრწუნებელი სიმშვიდე, სიმარტოვე და ნაცრისფერი ქალაქი. მე კი მოვიჩქაროდი, გზაში ათი წელი დამჭირდა, ათი წლისამ გნახე პირველად და თითქოს რაღაც დამემართა, როცა ფეხი შენს მიწაზე პირველად დავადგი, გული ამიჩქარდა და შენი გრილი ჰაერი ხარბად ჩავისუნთქე. იცი, იმ დროს მეგონა, რომ ჩემზე ბედნიერი მაშინ არავინ იყო. ამდენი წლის განშორების შემდეგ იცი რატომ მიყვარხარ? იმიტომ, რომ შენზე ყველაფერს მეუბნებიან სახლში – მშობლები, სკოლაში – მასწავლებლები მიყვებიან შენზე, რომელიც ილიას თქმისა არ იყოს, „დაკარგული ედემია“.

მიყვარხარ!

***მარიამ უზილავა***
*აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე*



## ინფორმაცია

* * *



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესში“ ჩეხი და ქართველი მოსწავლეების ერთობლივ პროექტს გაეცნო. გიორგი ჩახნაშვილი საქართველოში სტუმრად მყოფ ჩეხეთის განათლების სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა და მათთან ერთად სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები განიხილა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ დაძმობილების პროექტ „ტვინინგის“ ფარგლებში, საქართველოში, სტუმრად ჩეხი მოსწავლეები და მასწავლებლები იმყოფებიან, ქართულ ოჯახებში ცხოვრობენ და საქართველოს განათლების სისტემაში გატარებულ რეფორმებს ეცნობიან. სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ სკოლის მოსწავლეებთან ერთად უცხოელი მოსწავლეები სასწავლო პროცესში მონაწილეობენ. ჩეხი მოსწავლეები, ქართველ ბავშვებთან ერთად, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ღირსშესანიშნაობებს, მათ შორის მუზეუმებს ათვალიერებენ. პროექტის ფარგლებში, 2012 წლის ზაფხულში, ჩეხეთში ქართველი მოსწავლეები გაემგზავრებიან.

მინისტრის მოადგილემ ქართველი და ჩეხი მოსწავლეების მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტები დასკვნით ღონისძიებაზე შეაფასა. პერზენტაციაზე პროექტები ვიდეოკოლაჟის სახით იყო წარმოდგენილი.

Twinning-თან ერთად, ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში, საქართველო მონაწილეობს სკოლების დაძმობილების პროექტში E-Twinning. პროექტი მიზნად ისახავს სკოლებს შორის კონტაქტების დამყარებას, გამოცდილების გაზიარებასა და საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას ინტერნეტისა და ელექტრონული თანამშრომლობით. აღნიშნულ პროექტში მონაწილეობით ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა, სკოლაში მოღვაწეობის პერიოდში, ევროპელ კოლეგებთან ერთად, საგანმანათლებლო პროექტებში მიიღოს მონაწილეობა.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის დირექტორმა ნათია ჯოხაძემ და საქართველოს განვითარების სააგენტოს „ალიანსი ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლა“ დამფუძნებელმა ლიანა სირაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. ღონისძიებას განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ირინე ქურდაძე დაესწრო.

მემორანდუმის მიზანი ბავშვთა და მოზარდთა ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობაა.

ჯანსაღი და უსაფრთხო სკოლის კონცეფციის საერთო სტრატეგია მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრებისთვის მომზადებას უზრუნველყოფს. სტრატეგია, ასევე, დაეხმარება პედაგოგებსა და მშობლებს მომავალ თაობებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების პოპულარიზაციაში.



აღნიშნული მემორანდუმის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალი აქტივობის განხორციელება, კერძოდ:

- საქართველოში ბავშვებისა და მოზარდებისათვის ადაპტირებული სასწავლო მასალის შემუშავება;
- ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების სწავლების დამკვიდრების საერთაშორისო პროცესებში ჩართვა;
- სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მასწავლებელთათვის მეთოდოლოგიური მასალის შექმნის ხელშეწყობა;
- ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, რიგი ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება და ა.შ.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა და ქალაქ თბილისის მერმა გიგი უგულავამ თბილისის საჯარო სკოლების 200-მდე მეათეკლასელ მოსწავლეს პერსონალური კომპიუტერები – Lenovo გადასცეს. კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ მოსწავლეები, რომლებმაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს. საქართველოს მასშტაბით, წელს კომპიუტერებით სულ 1108 წარმატებული მოსწავლე ჯილდოვდება.

პროექტი რამდენიმე წელია ხორციელდება და წელს პირველად, მოსწავლეები იმ პორტატული კომპიუტერებით დასაჩუქრდნენ, რომლებიც საქართველოში დამზადდა. ამიერიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყველა წარმატებულ მოსწავლეს თუ სტუდენტს სწორედ საქართველოში წარმოებული კომპიუტერებით წაახალისებს.

მოსწავლეთა წახალისების პროექტი პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის – „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში ხორციელდება და მისი მიზანია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებასა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლა/სწავლების მეთოდების გაძლიერებას.

პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი, თანამედროვე ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაზრდით, ყველა ნიჭიერ და შრომისმოყვარე მოზარდს სწავლის თანაბარ პირობებს უქმნის.

2011 წელს პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც 2010-2011 სასწავლო წელს საბაზო საფეხური წარმატებით დაასრულეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარჩინებულ მოსწავლეებს მომავალშიც წაახალისებს.

## სპორტი

# შენგელია ევროლიგაში ითამაშებს



ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ქართული კალათბურთის ახალი ტალანტის – **თორნიკე შენგელიას** წარმატების შესახებ ვწერდით, რომელიც ევროპის წლევანდელ პირველობაზე ჩინებული გამოსვლის შემდეგ ბელგიურმა „შარლერუამ“ ახალი სეზონისთვის სასწრაფოდ დაიბრუნა „პეპინსტერიდან“. აქამდე, შენგელიამ ბელგიის ჩემპიონთა რიგებში წინასასეზონო ტესტ-მატჩებში დამაჯერებელი თამაშით მიიქცია ბელგიელ მწვრთნელ-ჟურნალისტთა ყურადღება, ახლა კი მისი ოფიციალური დებიუტიც შედგა, თანაც – სად! არც მეტი, არც ნაკლები – ევროლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. „შარლერუა“ ფინალურ ეტაპზე გავიდა, რაშიც საკმაოდ დიდი წვლილი ქართველმაც შეიტანა – საკვალიფიკაციო რაუნდში სამივე შეხვედრა ძირითად შემადგენლობაში დაიწყო და ქულებიც ბლომად დააგროვა. უკრაინულ „დონეცკთან“ და გერმანულ „ალბასთან“ ჩვენებურმა 5-5 ქულა დააგროვა, ბოლო მატჩი ჩეხურ „ნიმბრუკთან“ კი მთლიანად გუნდმაც აღმავლობით ითამაშა და 19 წლის ქართველმაც – 6 ქულა დააგროვა, 2-ჯერ ორქულიანი ჩააგდო, გამოიყენა 2 საჯარიმო ტყორცნა, 4-ჯერ დაეუფლა ფარიდან ასხლეტილ ბურთს და მეტოქეს ერთხელ დაუფარა. თავად 4-ჯერ დაჯარიმდა, თუმცა ჩეხებმაც მისი შეჩერება სამჯერ მოახერხეს აკრძალული ხერხებით. მოედანზე ყველაზე მეტი დროც ბოლო შეხვედრაში გაატარა – 15 წუთი, თუმცა ბევრად ნაკლები არც წინა შეხვედრებში ჰქონია – 13წთ და 14წთ. ბელგიელი მიმომხილველები განსაკუთრებულად გამოარჩევდნენ „ალბასთან“ ჩატენილ ბურთს, როგორც სილამაზით გამორჩეულსა და ეფექტურს.

ერთი სიტყვით, დღეს უკვე აღარავის ეეჭვება, რომ ახალგაზრდა კალათბურთელმა ბელგიის ჩემპიონატში ადაპტაცია წარმატებით გაიარა და მიმდინარე სეზონში გუნდის სასტარტო ხუთეულის სტაბილური წევრი იქნება. მათ შორის, ევროლიგაზეც, სადაც სოლიდური მეტოქეების წინააღმდეგ მოუწევს თამაში – D ჯგუფში მათთან ერთად ესპანური „ბარსელონა“, იტალიური „მონტეპასკი“, რუსული „უნიქსი“, სლოვენიური „ოლიმპია“ და პოლონური „პროკომი“ მოხვდნენ. შენგელია და ბელგიელები პირველ მატჩს 19 ოქტომბერს პოლონელებთან ჩაატარებენ.

# მოჭიდავეთა წარმატება უკრაინაში

გასულ უქმეებზე უკრაინულ კოლომიეში დამთავრებულ ალექსეო დოვბუშის სახელობის 46-ე მემორიალზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები - 2-2 ოქრო-ვერცხლი და 1 ბრინჯაო მოიპოვეს. **ბექა ბუჯიაშვილი** (50) და მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** ჩემპიონები გახდნენ. **ალექსანდრე ამინაშვილი** (84) და **ომარ გუსოშვილი** (96) მეორეზე გავიდნენ, ბრინჯაო კი **გიორგი მეშვილდიშვილმა** (96) მოიპოვა. კიდევ ერთმა ჩვენებურმა – **კონსტანტინე ხაბალაშვილმა** (66) ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავა, მაგრამ დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა.



გენო პეტრიაშვილი

ამ გუნდს ახალგაზრდული კი ჰქვია, მაგრამ უკრაინაში წაყვანილთა ნაწილი ჯერ ისევ ჭაბუკთა ნაკრების წევრია, ზოგი კი წლეულს გადმოვიდა იქედან. მაგალითად, 16 წლის გენო პეტრიაშვილი ჯერ ისევ ჭაბუკთა ნაკრებში ჭიდაობს და წლეულს ევროპის ჩემპიონი გახდა, მსოფლიოზე კი დამაჯერებლად მივიდა ფინალამდე, თუმცა იქ მეტოქე ვერ შეაფასა და ამერიკელ **ადამ კუნთან**, თავიდან დაწინაურებულმა, დასანანი მარცხი იწვნია. ბოლო ორი წელიწადია, ახალგაზრდულ ნაკრებში თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი მიმდინარეობს, თუმცა, შარშან ეს რამდენიმე ლიდერის ხარჯზე, უმტკივნეულოდ მოხდა. უკრაინული შედეგი გვაფიქრებინებს, რომ არც წლეულს შეიქმნება დიდი საკადრო პრობლემა.

# ამაგდარ მწვრთნელს შრომა დაუფასეს

ამ დღეებში ხაშურის სასპორტო სკოლის დარბაზმა მეშვიდედ უმასპინძლა საერთაშორისო ტურნირს თავისუფალ ჭიდაობაში მოზარდთა შორის, რომელიც იქაურთა ამაგდარი მწვრთნელის – **ვახტანგ კვინიკაძის** საპატივცემულოდ იმართება. სწორედ ამ მწვრთნელის სახელთანაა დაკავშირებული ხაშურში ჭიდაობის ამ სტილის აღმავლობა, რაშიც მამას უკვე შვილი – **გია კვინიკაძეც** აქტიურად ეხმარება.

ტურნირში წინა წლებშიც სტაბილურად მონაწილეობდნენ სომეხი და აზერბაიჯანელი მოზარდები და გამონაკლისი არც წლევანდელი შეჯიბრება ყოფილა. იმათ საშეჯიბრო პრაქტიკის დეფიციტი იმდენად არ აწუხებთ, რამდენადაც ჩვენებს და ამიტომ ასეთი ტურნირები მასპინძლებისთვის ბევრად უფრო ფასეულია – აქ იკვეთება ის ბირთვი, რომლისგანაც მწვრთნელები ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წამსვლელებს არჩევენ. წლევანდელი შეჯიბრება მაინც გამორჩეული გამოდგა – 350-მდე მოზარდი მონაწილეობდა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში ჩატარდა – 1998-2000 და 1995-97-წლიანებს შორის. პირველ ჯგუფში 8 წონით კატეგორიაში იბრძოდნენ გამარჯვებისთვის, მეორეში – 10-ში. მასპინძელთა გასახარად, ადგილობრივმა გუნდმა გაიმარჯვა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში.

უმცროს ასაკობრივ ჯგუფში, წონითი კატეგორიების მიხედვით, ჩემპიონები გახდნენ: **თორნიკე ქათამაძე** (ქობულეთი, 26 კგ), **ელშან ნიფტანოლლი** (ქარელი, 29), **გიორგი ხაჩიძე** (ხაშური, 32), **ალეკო ლომიძე** (ხაშური, 35), **გორ აკოფიანი** (სომხეთი, 38), **თორნიკე კვინიკაძე** (ხაშური, 42), **ივანე გოდელაშვილი** (ხაშური, 47) და **ზურაბ ურთაშვილი** (მცხეთა, +47). უფროსებში ოქროს მედლები მოიპოვეს: ხაშურელმა **რამაზ გონგლაძემ** (42), ბათუმელმა **რამაზ ზოიძემ** (46), კასპელმა **გიორგი ყაზარაშვილმა** (50), სომხეთის წარმომადგენელმა **ოგანეს ღარიბიანმა** (54), ასევე ხაშურელმა **ბექა წიკლაურმა** (58), თბილისელებმა - **ტარიელ გაფრინდაშვილმა** (63), **ლევან მურადხანაშვილმა** (69), **ბაქარ შამანაძემ** (76), დედოფლისწყაროელმა **ლაშა ბოდაველმა** (85) და მცხეთელმა **გიორგი მაჭარაშვილმა** (100). გამარჯვებულებს და პრიზიორებს საჩუქრები გადაეცათ, ხოლო თორნიკე კვინიკაძე სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა.

*რუბრიკას უძღვება*
***ირაკლი თავაძე***

# ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა, I-IV ტომი – 11 ლარი
- ნოდარ დუმბაძე, I-V ტომი – 13 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი, I-II ტომი – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი, I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა, I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი, I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია,
  I, II, III, VI, VII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი, I-V ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე, I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე, I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი, I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე, I-V ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი, I-IV ტომი – 13 ლარი

# გამომცემლობა ,,დიოგენესა‘‘ და გაზეთ ,,ახალი განათლების‘‘ სპეციალური პროექტი

## ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს" შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

## გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად




საყმაწვილო ენციკლოპედია „მსოფლიოს რელიგიები"

~~29.90~~

17 ლარი




საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა"

~~29.90~~

17 ლარი




საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი"

~~29.90~~

10 ლარი

პირველად საქართველოში!
მოსწავლეებისა და
პედაგოგების სამაგიდო წიგნი
თამარ ბეროზაშვილი
„ქართული ენის სასკოლო
განმარტებითი ლექსიკონი"

~~14.90~~

10 ლარი



# „ახალი განათლების" წიგნის თარო

## ხელმოწერის თანხა უნდა ჩარიცხოთ 31 ოქტომბრამდე

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ
ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

---

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება", ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კLBRTGE22, ა/აGE93LB0113314052305000

# შემოგვიერთდით!




მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

## „მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები"

ერთი ტომი – 12 ლარი



## „რა არის რა" ერთი ტომი – 11 ლარი




ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტეტელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები:
საქართველოს ბანკი
ბ/კ BAGAGE22,
ს/კ 202058735,
ა/ა 123631000

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.

C M Y K